ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 19 ივნისი 2006 №138 (2760) ფასი 50 თეთრი

ივლისი მოდის: საფრანგეთში რევოლუციის სუნი ტრიალებს

RAYMONDIEU, DOMENECH!

ვინ ჩამოუძღვება მამლებს თბილისში?

კორეელებს კარგი ადვოკატი ჰყავთ

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

G ჯგუფი. II ტური

საფრანგეთი 1:1 კორეა

№29. 18 ივნისი. 23.00. ლაიფციგი. „ცენტრალშტადიონი". 43 000 მაყურებელი

1:0 ანრი (9), 1:1 პარკი (81)

16 ბარტეზი

მწვრთნელი
რაიმონ დომენეკი

19 სანიოლი 15 ტურამი 5 გალასი 3 აბიდალი

4 ვიეირა 6 მაკელელე

10 ზიდანი

7 მალუდა 11 ვილტორდი

12 ანრი

14 ჩ. ლი

5 ნ. კიმი 13 ე. ლი

7 ჯ. პარკი 19 ჯ. ჩო

17 პო

12 ი. ლი 3 დ. კიმი 4 ჯ. ჩოი 2 ი. კიმი

მწვრთნელი
დიკ ადვოკაატი

1 ვ. ლი

შეცვლა: ე. ლი – 11. სეოლი (46), ვილტორდი – 22. რიბერი (60),
პო – 18. ს. კიმი (69), ჩ. ლი – 9. ანი (72),
მალუდა – 8. დორასო (88), ზიდანი – 20. ტრეზეგე (90)

გაფრთხილება: პო (11), დ. კიმი (29), აბიდალი (79), ზიდანი (85)

მსაჯები: ბენიტო არჩუნდია;
ხოსე რამირესი (მექსიკა), ექტორ ვერგარა (კანადა)

20	ჯარიმა	10
6	კუთხური	2
15	კარისკენ დარტყმა	5
4	კარში დარტყმა	2
4	თამაშგარე	1

თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:
1 ჯგუფურ მატჩებში ბურთების უკეთეს სხვაობას
2 ჯგუფურ მატჩებში გატანილ მეტ გოლს
3 ურთიერთშეხვედრებს

საფრანგეთის კო-რეალური სახე

რა დავაშავეთ, ღმერთო, ამისთანა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს ოთხი წელი ველოდებით, მერე კი საფრანგეთის ნაკრების ყოვლად მოსაწყენ თამაშს ვუყურებთ?

პირველი წრის მატჩის დარად, საფრანგეთმა სამხრეთ კორეასთანაც საოცრად ზანტად ითამაშა და ისეთი შთაბეჭდილებაც დატოვა, რომ თამაში საერთოდ არ სურდა.

გნებავთ, გავიხსენოთ, რამდენჯერ შეაწუხეს ფრანგებმა მეტოქე: ერთხელ ტიერი ანრის გოლისას, მეორედ — არჩათვლილი გოლის დროს, მესამედ — სულ ბოლოს, ისევ ანრი რომ დარჩა მეკარესთან პირისპირ და ვერ გაუტანა.

სამად-სამი მომენტი, რომელიც გონებაში შემოგვრჩა და ეს, ამხელა საფრანგეთის ნაკრების შესრულებით 90 წუთში...

თუმცა თავი იმით შეგვიძლია დავიმშვიდოთ, რომ საფრანგეთი საქართველოს ნაკრების მეტოქეა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში და მაშინაც ასე თუ ითამაშებს, აუგი არავის დაგვცდება...

ამავე დროს კი ძალიან უცნაური რამ გამოდის. პირველ მატჩშიც და ახლაც ფრანგებმა ძალიან ცუდად კი ითამაშეს, მაგრამ მსაჯთა უხეში შეცდომები რომ არა, ორივეჯერ გამარჯვებულები უნდა დარჩენილიყვნენ. შვეიცარიულ ხელზე აქ სიტყვას ნულარ გავაგრძელებთ, სამხრეთ კორეასთან კი პატრიკ ვიეირას ნაღდი გოლი არ ჩაუთვალეს — იუვენტუსელის დარტყმული ბურთი აზიელმა მეკარემ აშკარად კარის ხაზს შიგნიდან გამოიტანა, მსაჯმა კი განსაჯა, რომ ბურთს ხაზი არ გადაუკვეთავს.

ხოლო იმ გოლმა, რომელიც ჩათვალეს, ოცი წლის წინ ფრანგთა ნაკრებში მოთამაშე მანუელ ამორო გაგვახსენა. რატომ?

ტიერი ანრის ამ გოლამდე საფრანგეთს მიღმა გამართულ ჩემპიონატებზე ბოლო ფრანგული გოლის ავტორი სწორედ ამორო იყო, რომელმაც ოცი წლის წინ, მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე, მესამე ადგილისთვის მატჩში ბელგიას გაუტანა.

მომდევნო ორ ჩემპიონატზე ფრანგები ვერ მოხვდნენ, 98-ში სამშობლოში გაიტანეს გოლები, ოთხი წლის წინ კი ჯგუფში უგოლოდ ჩარჩნენ.

ამ გადახვევის მერე კი შეშფოთებულებმა შევნიშნოთ, რომ შესაძლოა წუხელ, ზინედინ ზიდანი ბოლოჯერ ვნახეთ მოედანზე. საქმე ის არის, რომ ზიდანი მომდევნო მატჩს დისკვალიფიკაციის გამო ტოვებს და თუ საფრანგეთმა ჯგუფიდან ვერ გააღწია...

ფრანგებზე ლაპარაკში გავერთეთ და აქმდე არ გვითქვამს, რომ კორეელებმაც მეტისმეტად უსუსურად ითამაშეს. თითქოს პარადოქსია, ფრანგებისთვის ქულის ამრთმევს უსუსურობას რომ ვწამებთ, მაგრამ აქაც დავითვალოთ: ფაბიენ ბარტეზის კარში კორეელებს მე-80 წუთამდე ერთხელაც არ დაურტყამთ. არ დაურტყამთ კი არა, ბარტეზის საჯარიმოს ხეირიანადაც არ მიახლოვებიან და... უეცრად ეს გოლი, რომელიც კორეელების იერიშების ლოგიკური დასასრული სულაც არ იყო.

კიდევ ვთქვათ, რომ დომენეკმა, როგორც იქნა, ათამაშა დავიდ ტრეზეგე, ოღონდ ფორვარდი მოედანზე მსაჯის წამატებულ წუთზე შეუშვა, რაც, ფაქტობრივად, დაცინვას ნიშნავდა. ნამატჩევს კი ფრანგთა დამრიგებელმა თქვა: „რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ერთი მატჩი კიდევ სათამაშო გვაქვს და ის მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ."

გიორგი დარჯანია

კორეა	2	1	1	0	3:2	4
საფრანგეთი	2	0	2	0	1:1	2
შვეიცარია	1	0	1	0	0:0	1
ტოგო	1	0	0	1	1:2	0

AFP ფოტოები

დღეს. G ჯგუფი. II ტური

ტოგო — შვეიცარია

დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი“. 17.00

16. აგასა; 2. ნიბომბე, 23. ა. ტურე, 5. ჩანგაი, 8. აგბოჰი; 9. დოსევი, 10. მამამი, 15. რომაო, 17. კადერი; 13. ფორსონი, 4. ადებაიორი მწვრთნელი: ოტო პფისტერი	1. ცუბერბიულერი; 23. ფ. დეგენი, 20. მიულერი, 4. სენდეროსი, 3. მანინი; 7. კაბანასი, 8. ვიკი, 6. ფოგელი, 16. ბარნეტა; 9. ფრეი, 11. შტრელერი მწვრთნელი: იაკობ კუნი

მსაჯი: კარლოს ამარილია (პარაგვაი)

შეხვედრა ცოლეულებთან

შვეიცარიელებს საფრანგეთთან ცუდად არ უთამაშიათ. პირიქით, კარგად ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს და ქულაც დამსახურებულად მოიპოვეს. თუმცა პრობლემა თავდასხმაა, კობი კუნის შეგირდები ძალიან ცოტა საგოლე მომენტს ქმნიან. კუნი ჩვეული 4-4-2-ით და იმავე შემადგენლობით აპირებს თამაშს. ერთადერთი, შესაძლოა, დაცვაზე ორიენტირებული ნახევარმცველი რაფაელ ვიკის ნაცვლად, ძირითადში, უფრო მოიერიშე დანიელ გიგაქსი ვიხილოთ.

„ვფიქრობ, ტოგოსთან შეტევაში მეტი სივრცე გვექნება და უკეთ ვითამაშებთ. ყოველთვის შემტევი სტილი გვქონდა, მაგრამ ისიც ვიცით, რომ გოლების გატანა გვიჭირდა. თანაც, ჩვენმა წამყვანმა ფორვარდებმა, ალექსანდრ ფრეიმ და მარკო შტრელერმა, დიდი ხანი არაა, რაც ტრავმები მოიშუშეს და ჯერ სასურველ ფორმაში არ არიან, თუმცა ნელ-ნელა უფრო უკეთ ირჯებიან. რაც შეეხება ტოგოს, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ყველასთვის ადვილად დასაძლევი მეტოქეა, ძალიან ცდება — აფრიკელები მუნდიალზე საკმაოდ ძლიერი შესარჩევი ჯგუფიდან მოხვდნენ და მთლიანობაში კარგი გუნდი ჰყავთ“ — თქვა კუნმა.

ტოგოელები კორეასთან გაძევებულ კაპიტან ჟან-პოლ აბალოს და დაშავებულ მცველ ლუდოვიკ ასემოასას ვერ დაიხმარენ, რომელიც საერთოდ მუნდიალზე ველარ ითამაშებს მუხლის მძიმე ტრავმის გამო. საინტერესოა, რომ აფრიკელთა მწვრთნელი ოტო პფისტერი, მეტოქეს ბრწყინვალედ იცნობს. იგი შვეიცარიაში ცხოვრობს და იქაური ცოლი ჰყავს. თავის დროზე შვეიცარიაში ფეხბურთიც უთამაშია და მწვრთნელადაც უმუშავია.

„შვეიცარიელებს ძალიან კარგად ვიცნობ და ვიცი, როგორც ითამაშებენ. ვიცი ისიც, რა უნდა დავუპირისპირო მათ და როგორ უნდა მოვიგოთ. ეს ჩვენი ბოლო შანსია“ — აღნიშნა პფისტერმა.

ბოკი ბანდელაძე

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95,77,93,55) + აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

ნუ გამოტოვებთ გადამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა და ლაი-ლაის აბონენტებისთვის.

GEO ჯეო გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006
და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე
და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი,
მატჩებისანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის ჰიმნები.

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ერთგულია ჯეოსელის

FIFA WORLD CUP GERMANY 2006

© 2002 FIFA TM

www.geocell.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

F ჯგუფი. II ტური

ბრაზილია 2:0 ავსტრალია

№27. 18 ივნისი. 20.00. მიუნხენი. „ალიანს არენა". 66 000 მაყურებელი

1:0 ადრიანო (49), 2:0 ფრედი (90)

შეცვლა: ჰოპოვიჩი – 23. ბრეშიანო (41), კეჰილი – 10. კიუელი (56), მური – 15. ალოიზი (69), ემერსონი – 17. ჟილბერტო სილვა (72), რონალდო – 23. რობინიო (72), ადრიანო – 21. ფრედი (88)

გაფრთხილება: ემერტონი (13), კაფუ (29), რონალდო (31), კულინა (39), რობინიო (83)

მსაჯები: მარკუს მერკი;
კრისტიან შრაერი, იან-ჰენდრიკ ზალვერი (გერმანია)

9	კარიმა	25
7	კუთხური	4
16	კარისკენ დარტყმა	14
6	კარში დარტყმა	4
5	თამაშგარე	1

კარნავალი ბრაზილიის ვალია?

AFP მიუნხენიდან

ბრაზილია მეთექვსმეტედფინალშია, მაგრამ ამაში გასაკვირი ნამდვილად არაფერი გახლავთ. მთელ დედამიწაზე ძნელად თუ მოიძებნებოდა ადამიანი, რომელიც საპირისპიროს მტკიცებას გაბედავდა. სხვა ამბავია, რომ ბევრს ეს აშკარად სხვანაირად წარმოედგინა — კარნავალი პირველიდან ბოლო ტურამდე, მაგრამ პენტაკამპეონებს კარნავალის „შენახვა" მოუწევთ. 9 ივლისამდე, მანამდე კი ოფლითა და შრომით ეწნებათ გასავლელი გზა, რომელზეც სულ უფრო და უფრო მობილიზებულ და, რა საკვირველია, ძლიერ მეტოქეებს გადაეყრებიან.

გუშინ ტელეკომპანია „ევროსპორტი" დილიდან იმეორებდა სხვადასხვა სიუჟეტებს, რომელთაგან თვალს და ყურს იპყრობდა ავსტრალიის ნაკრების ჰოლანდიელი თავკაცის გუს ჰიდინკის პრესკონფერენციის ფრაგმენტი. „ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენ დაცვაში ჩავიკეტებით, ჩვენ ვითამაშებთ ზუსტად ისევე, როგორც ითამაშებს ბრაზილია — შეეუტევთ" — ამბობდა ჰიდინკი და ვინც თამაშს უყურა, დაგვეთანხმება, რომ ჰოლანდიელი სიტყვის კაცია. გუშინ მიუნხენის „ალიანს არენაზე" ორივე გუნდი უტევდა და ამიტომაც გამოვიდა შეხვედრა მრავალმომენტიანი და სანახავად საამო.

იმის დასამტკიცებლად, რომ შეხვედრა აქეთ-იქით კარებთან გაწონასწორებული გამოვიდა, სტატისტიკას მოვიშველიებთ. მაგალითად კარისკენ დარტყმები ავიღოთ: ბრაზილიამ დაარტყა 16-ჯერ, ავსტრალიამ 14-ჯერ. გამოაკლით 16-ს 14 და მიიღებთ იმ ორ გოლს, ტაბლოზე რომ დაიწერა, ხომ მართალია?! თუ კარისკენ კი არა, კარის ჩარჩოს ფარგლებში დარტყმების აღრიცხვა გაინტერესებთ, ამასაც შემოგთავაზებთ და ზუსტად იგივეს მოგახსენებთ: 6-4. ბურთის ფლობაში ბრაზილიის უპირატესობა უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც, ოღონდ, 54 46-ის წინააღმდეგ. ერთი ეგ არის, სამხრეთამერიკელები ხუთჯერ ჩარჩნენ ოფსაიდში, ავსტრალიელები კი არც ერთხელ.

ჰიდინკმა „სოკერუ" მოედანზე საინტერესოდ განალაგა 3-2-3-2, ბრაზილია კი იგივე იყო, რაც წინა, ხორვატებთან შეხვედრაში ვნახეთ. იყო რონალდოც, რომელზეც ამბობდნენ, რომ პირველი მატჩის შემდეგ ცუდად გახდა და საავადმყოფოში ჰყავდათ. მოგეხსენებათ, მის წინაზეც ძლიან ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ „რონიმ", რომელიც ძველებურად ნამდვილად ვერ დაფრინავს, საგოლე პასი მაინც შეასრულა: 49-ე წუთზე რონალდინიომ მოედნის სიღრმიდან მიაწოდა რონალდოს, რონალდომ საჯარიმოს ხაზის გასწვრივ ადრიანოს, რომელმაც ბურთი ფეხში გემრიელად მოიგდო და დაბალი დარტყმით გახსნა ანგარიში. მეორე გოლი პენტაკამპეონებმა 90-ე წუთზე შეაგდეს, როდესაც რამდენჯერმე უკვე თავადაც იყვნენ ანგარიშის გათანაბრებას გადარჩენილები და გატანის რამდენიმე შესაძლებლობაც ხელიდან ჰქონდათ გაშვებული. ეს ასე მოხდა: ბრაზილიას კონტრშეტევის შესაძლებლობა მიეცა, ავსტრალიელები კი ბოლო წუთებზე გაქვითვის იდეით გახლდნენ გატაცებულნი და სწორედ ამიტომ შეატოვეს სამი მცველი ბრაზილიელთა ოთხკაციან ლაშქარს, რომელთაც კომბინაციის გათამაშება არ შეშლიათ. ბურთი ბადეში მოედანზე ადრიანოს მაგივრედ ორი წუთის შესულმა ფრედმა შეაგდო.

ავსტრალიელთაგან საგანგებოდ გვინდა ჰარი კიუელის ამავე გამოყოთ. მოედანზე მომხდარის დაწვრილებით, ქრონოლოგიურ აღწერას აზრი არ აქვს, რადგან თამაში ყველას ნანახი გაქვთ და ისე შეგახსენებთ, რომ კიუელი მოედანზე 56-ე წუთზე კრეიგ მურის ნაცვლად შევიდა და ერთხელ, მეკარე დიდას უხეში შეცდომის შემდეგ, ცარიელ კარში ვერ დაუმიზნა ბურთი და ორჯერაც ნაკლებად ნაღდი, მაგრამ მაინც ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან. გოლის გატანა შეეძლო დაშავებული ტონი პოპოვიჩის მაგივრად 41-ე წუთზე შესულ მარკო ბრეშანოსაც, რომელმაც თამაშის ბოლოსკენ ერთი აკრობატული დარტყმითაც დაგვამახსოვრა თავი. იმ დარტყმულ ბურთს ნახტომში დიდა დაეუფლა.

ცხადია, მომენტები იყო აქეთაც. მაგალითად, კაკამ ძელს გაარტყა, თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ბრაზილიელებმა რამდენიმეხიფათიანი შტურმი მოაწყვეს, იყო დასარტყმელ პოზიციაზე ნახევარმცველთა სწრაფი შევარდნები, ეფექტური დარტყმები და სხვა.

კიდევ რა იყო? კიდევ, თამაშის მსაჯი მარკუს მერკი და მისი ასისტენტები შესვენებამდე ყვითელი მაისურებით სჯიდნენ, შესვენების შემდეგ წითლები ჩაიცვეს, რადგან ყვითლებში ბრაზილიელებს ჰგავდნენ და შეიძლებოდა, რომელიმე ავსტრალიელს მათთვის სიჩქარეში პასიც მიეცა. იყო ხუთი ყვითელი, რომელთაგან ორი რობინიოსა და ბრეტ ემერტონის ინგლისური და ბრაზილიური „ფაქ იუს" საფასური გახლდათ და, რა თქმა უნდა, იყო მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია.

„ბურთი, რომელიც ავსტრალიის ნაკრების კარში შევაგდე, მამაჩემს უნდა ჩავუტანო. ძალიან მინდა, მასზე ყველას დავატოვებინო ავტოგრაფი — თქვა ფრედმა — მადლობა უფალს, გამარჯვება რომ შევძელითო. უბედნიერესი კაცი ვარ, მოედანზე შესვლისთანავე გოლი რომ გავიტანე".

ზე რობერტო: „შემდეგ ეტაპზე გავედით და ამიტომ მესამე თამაშს უფრო ლაღად ჩავატარებთ. ყოველ თამაშში უკეთ ვირჯებით. დღეს თავიდანვე გვინდოდა, მეტოქეებისთვის ჩვენი სტილი მოგვეხვია თავზე, მაგრამ ისინი ძალიან ძლიერები იყვნენ, განსაკუთრებით დაცვაში".

ავსტრალიის ნაკრების კაპიტანი მარკ ვიდუკა: „სამწუხაროა, რომ დავმარცხდით, მაგრამ ბრაზილია ბრაზილიაა. ერთი ფაქტია: ჩვენ ყველაფერი გავიღეთ. ასეთი თამაშით სხვა, უფრო იღბლიან დღეს გავიმარჯვებდით".

							ჯარუნა ქედია
ბრაზილია	2	2	0	0	3:0		6
ავსტრალია	2	1	0	1	3:2		3
ხორვატია	2	0	1	1	0:1		1
იაპონია	2	0	1	1	1:3		1

AFP მიუნხენიდან

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

F ჯგუფი. II ტური

იაპონია 0:0 ხორვატია

№28. 18 ივნისი. 17.00. ნიურნბერგი. „ფრანკენშტადიონი“. 41 000 მაყურებელი

სრნამ ვერ გაიტანა პენალტი (22, მეკარე)

შეცვლა: ფუკუნიში – 17. ინამოტო (46), იანაგისავა – 20. ტამადა (61), ტუდორი – 18. ოლიჩი (70), კრანჩარი – 14. მოდრიჩი (78), ტაკაჰარა – 16. ოგურო (85), სრნა – 22. ბოშნიაკი (87)

გაფრთხილება: მიამოტო (21), რ. კოვაჩი (32), კავაგუჩი (42), სრნა (69), ალექსი (72)

მსაჯები: ფრანკ დე ბლეეკერი; პეტერ ჰერმანსი, ვალტერ ვრომანსი (ბელგია)

19	კარიერა	18
5	კუთხური	11
12	კარისკენ დარტყმა	16
5	კარში დარტყმა	6
1	თამაშგარე	6

ალარ მეცოდები

მხიარული ფეხბურთი — ყველაზე მეტად ალბათ ასეთი შეფასება ესადაგება გუშინდელ ხორვატია — იაპონიას. პირველი შეხვედრა იაპონელებმა ბოლო ექვს წუთში დათმეს ავსტრალიასთან და შემეცოდნენ. ხორვატიამაც ბოლომდე კაცურად იომა ბრაზილიასთან, თამაშიც მეტად აკონტროლა და სახიფათო მომენტიც საკმარისზე მეტი შექმნა — მაინც წააგო და ისიც შემეცოდა. გუშინდელი გრძნობა სხვა იყო. როცა ამდენი ხელსაყრელი მომენტიდან ერთსაც ვერ იყენებ, მერვედფინალზე არ უნდა იოცნებო. ეს თანაბარწილად ეკუთვნით ხორვატებსაც და იაპონელებსაც, არადა, ბოლო ტურის წინ მერვედფინალში გაღწევის შანსს ორივე გუნდი ინარჩუნებს: ხორვატები გაცილებით რეალურს — ავსტრალიის დამარცხება მათ ყველაზე დიდ გმირობად ვერაფრით ჩაითვლება, იაპონელებს კი იგივე მიზნის მისაღწევად, როგორი სათქმელია, ბრაზილიელების დამარცხებაც შეიძლება არ ეყოთ.

ეს რაც იყო, ლირიკა იყო და, დროა, თამაშზეც ვთქვათ. ჩახედეთ სტატისტიკას — ორ-სამ მატჩს ეყოფოდა, რაც კავაგუჩისა და პლეტიკოშას კარის მიმართულებით გუშინ დაირტყა. თამაში პირველივე წუთიდან სისწრაფესა და გამძლეობაში შეჯიბრს დაემსგავსა. მოედნის ცენტრში ბურთს არც ერთი მხარე არ აყოვნებდა, მეტოქის საჯარიმომდე ყველაფერს ჩინებულად აკეთებდა, მაგრამ ან ბოლო დარტყმა იყო უზუსტო, ანაც მეკარეები ყოჩაღობდნენ. 22-ე წუთზე მიამოტომ საჯარიმოში პრსო მოცელა და მატჩის არბიტრმა ხორვატებს ანგარიშის გახსნის უნაღდესი შანსი უბოძა. აქაც ვერ ივარგეს ბალკანელებმა. კავაგუჩი ალალბედზე არ გადამხტარა — გამორბენიდანვე ჩანდა, რომ დარიო სრნა მეკარისგან მარცხენა კუთხეში დაარტყამდა და იაპონელმა მეკარემ ძელის ძირიდან „გამოაძრო“ ბურთი. რამდენიმე წუთში კრანჩარმა ითამაშა დიდებულად, კარისკენ ზურგით მდგომმა ერთი შეხებით მოიტრიალა ბურთი, მეურვე ჩამოიცილა და ისეთი დაარტყა, კავაგუჩის კარის ხარიხა კარგა ხანს ძიგძიგებდა.

ხორვატებმა ვერაფერი დააკლეს და, 32-ე წუთზე თავის კარში გოლი კინაღამ ტაკაჰარამ გამოთხარა. მეკარისთვის დაგორებული ბურთი პენალტის ნიშნულთან ბელტზე ახტა, კავაგუჩის წინწადგმულ ცაციას გადაევლო და... კარს სუნთქვის შემკვრელად ახლოს ჩაუარა.

არა, უქმად არც იაპონელები მსხდარან, ოგასავარას, ალექსს და ნაკატას დარტყმებიც გვარიანად საზიფათო იყო, მაგრამ ტაიმი მაინც უგოლოდ მიილია.

მეორე ნახევარში ორივე გუნდს დაღლა დაეტყო. იაპონელებიც და ხორვატებიც უკანასკნელ წუთამდე არ ზოგავდნენ თავს, მაგრამ ეს არდაზოგვა საჯარიმოდან საჯარიმომდე სირბილისთვის კმარიდა, ბოლო დარტყმისთვის — ვეღარ. რამდენიმე შემთხვევაში ფეხბურთელებმა ისეთი მომენტი გაანიავეს, ნეიტრალურ მაყურებელში ღიმილს რომ გამოიწვევდა. ტაკაჰარას გადაცემის შემდეგ იანაგისავას ისღა დარჩენოდა, ბურთისთვის ცაცია დაეხვედრებინა და ხუთიოდ მეტრიდან ცარიელ კარში შეეგორებინა. რატომღაც მარჯვენათი დარტყმა მოინდომა... ორი წუთის შემდეგ კრანჩარიც ცარიელ კართან დარჩა, მაგრამ პრსოს ფლანგურ გადაცემაზე ნახევარი ნაბიჯით დაგვიანა.

ბოლოსკენ იაპონელებმა ფრეზე და კონტრშეტევაზე თამაში დაიწყეს, თუმცა ხორვატებს შტურმის მოსაწყობად ენერგია და ოსტატობა აღარ ეყოთ. ცხადად ჩანდა, რომ ბალკანელებს მაღალი კლასის ფორვარდი სჭირდებათ და ბრაზილიელებთან მატჩში გოლის ვერგატანა მხოლოდ უიღბლობის ბრალი არ ყოფილა.

მომენტები კი იყო, ორივე კართან და მსაჯის მიერ წამატებულ წუთებშიც კი. აქეთ ოლიჩმა ვერ დაუმიზნა შორეულ კუთხეს, იქით ალექსმა და ოგურომ იჭაკეს.

წესით და რიგით, ფეხბურთის გურმანი უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ამ ფრემ ქვეჯგუფის ბოლო ორივე შეხვედრას ინტრიგა შეუნარჩუნა. ჯერჯეროობით ესეც საქმეა.

გიორგი ნოზაძე



თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეალაინ ინტერნეიშნლ»

ბელომძღოვანელი ჭრილი, თმის ბოლქვების ტრანსპლანტაცია

უყურე ფეხბურთს ჩვენთან ერთად დაშედეგით კმაყოფილი დარჩები

- უფასო კონსულტაცია, კონფიდენციალობა
- გარანტირებული შედეგები
- უახლესი ატრავმატული ამერიკული ტექნოლოგიები

HAIRLINE International

მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული

ერთადერთი კლინიკა ამერიკა-კავკასიაში

ქავთარაძის 16 (სამხედრო ტომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

E ჯგუფი. II ტური

ჩეხეთი 0:2 განა

№26. 17 ივნისი. 20.00. კიოლნი. „რაინენერგიშტადიონი". 45 000 მაყურებელი

0:1 გიანი (2), 0:2 მუნტარი (82)
გიანმა ვერ გაიტანა პენალტი (66, ძელი)

1 ჩეხი

მწვრთნელი
კარელ ბრიუკნერი

2 გრიგერა 22 როზენალი 21 უიფალუში 6 იანკულოვსკი

4 გალაშეკი

8 პობორსკი 20 პლასილი

10 როსიცკი 11 ნედვედი

12 ლოკვენცი

3 გიანი 14 ამოა

11 მუნტარი 10 აპია

8 ესიენი 20 ო. ადო

7 შილა 5 მენსა 13 მოჰამედი 15 პანცილი

მწვრთნელი
რატომირ დუიკოვიჩი

22 კინგსტონი

შეცვლა: გალაშეკი – 19. პოლაკი (46), ო. ადო – 9. ბოატენგი (46), პობორსკი – 17. შტაინერი (56), პლასილი – 7. სიონკო (68), ამოა – 18. ე. ადო (80), გიანი –19. პიმპონგი (85)

გაფრთხილება: ო. ადო (18), ესიენი (37), ლოკვენცი (49), გიანი (66), ბოატენგი (75), მუნტარი (84), მოჰამედი (90)

გაძევება: უიფალუში (65)

მსაჯები: ჰორაციო ელიზონდო; დარიო გარსია, როდოლფო ოტერო (არგენტინა)

16	ჯარიმა	22
6	კუთხური	7
14	კარისკენ დარტყმა	20
4	კარში დარტყმა	8
4	თამაშგარე	10

რატომირ დუიკოვიჩი: საგანგებოდ ჩეხეთისთვის, განიდან

ჩემპიონატის ხუთი დებიუტანტიდან პირველი გამარჯვება განამ მოიპოვა და თავისი ისტორია უკვე შექმნა. მეტიც, განელებს მერვედფინალში გასვლის შანსი აქვთ და საამისოდ ბოლო ტურში ამერიკას უნდა სძლიონ.

მართალია, ამ გუნდის მატჩების მსაჯებს მეზურნის ფილტვები სჭირდებათ (აფრიკელები ძალიან ხშირად ჯარიმდებიან), რაკი წარამარა სტვენა უწევთ, მაგრამ სწორედ ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე აჯობეს ჩეხეთს. ოდნავ მაღალი კლასის ფეხბურთელები რომ ჰყოლოდათ, მეორე ტაიმში ევროპელებისთვის 7-8 გოლი უნდა გაეტანათ, მაგრამ კარში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე, პეტრ ჩეხი იდგა და მას მარტო უწევდა მეტოქის იერიშების მოგერიება. მისი თანაგუნდელები ხომ ძლივსლა დალასლასებდნენ მოედანზე.

ჩეხი ქების ღირსია, თუმც სადაც თავისას დაიკვეხნის, იქ, ალბათ, რიჩარდ კინგსტონისაც არ უნდა დაავიწყდეს. განელთა მეკარემ თამაშის ბოლოს ორი ისეთი ბურთი გამოაძრო კარის ხაზიდან, რომ თვით პეტრ ჩეხსაც შეშურდებოდა. კინგსტონმა ჯერ კიდევ იტალიასთან შეხვედრაში დაამტკიცა — თავისი საქმე კარგად იცის და ჩეხებთანაც არანაკლებ ეფექტური იყო.

განის დედაქალაქ აკრაში კი დიდი ზარ-ზეიმი გაჩაღდა. მავან ფანს ისიც კი უთქვამს, ჯგუფიდან ხომ გავალთ, მერვედფინალსაც გავივლით და... ფინალში ვითამაშებთო.

ფინალის რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩეხებთან კი კარგად ითამაშეს, განსაკუთრებით ნახევარდაცვაში. მიკაელ ესიენმა და კომპანიამ გასაქანი არ მისცეს ნედვედს და როსიცკის, რომლებიც მომენტებს კი ქმნიდნენ, მაგრამ რად გინდა — გუნდს თავდამსხმელი არ ჰყავდა.

შეიძლება ითქვას, რომ ჩეხეთი თავიდანვე ათი კაცით იყო მოედანზე, რაკი ერთადერთ ფორვარდ ვლასტისლავ ლოკვენცს ასი გრამი ლუდის ღირებულებისაც კი არაფერი გაუკეთებია. დასეირნობდა წინ და უკან, ფლანგიდან ფლანგზე და მაყურებლებშიც რომ გადასულიყო, ჩეხეთის ნაკრებს ამით არაფერი დააკლდებოდა.

ამ მატჩის სცენარი ჩეხეთ — ამერიკისას წააგავდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამერიკასთან ევროპელები დაწინაურდნენ მალე და მერე საქმე ბოლომდე მიიყვანეს. აქ კი, განასთან, პირიქით მოხდა. აფრიკელებმა გაიტანეს მალე და თამაშიც მათთვის სასურველ კალაპოტში მოაქციეს.

ამაო იყო ჩეხთა ყველა ცდა. მოედნის შუაში, ფაქტობრივად, თამაში ვერ ააწყვეს, ფლანგებმაც არ გაამართლა, რადგან იან კოლერი არ იყო და ჩაწოდებულს თავს ვინ დაუხვედრებდა?

ბრიუკნერის შეგირდების თამაში უფრო წვალებას ჰგავდა, ხოლო მეორე ტაიმში, როცა უიფალუში გააძევეს, სულაც ტანჯვას დაემსგავსა. კაცნაკლული გუნდი ველარ ასწრებდა დაცვაში ჩასვლას და ხშირად ისე ხდებოდა, რომ პეტრ ჩეხი ცენტრალური მცველივით თამაშობდა. სწორედ ამ დროს შეეძლოთ განელებს შვიდი-რვა გოლის გატანა, მაგრამ კლასი არ ეყოთ.

უიფალუში კი იმიტომ გააძევეს, რომ საჯარიმოში ასამოა გიანი წააქცია. გიანმა პენალტი მსაჯის სასტვენამდე შეასრულა და გაიტანა, რისთვისაც ყვითელი ბარათი მიიღო და მომდევნო შეხვედრას გამოტოვებს. „ტრიბუნებიდან სტვენა ისმოდა და მეგონა, რომ მსაჯმა ნიშანი მომცა" — იმართლა თავი განელმა ნამატჩევს. პეტრ ჩეხს რომ დაუნახავს ჯიბეში ხელჩაყოფილი, გიანისკენ მიმავალი მსაჯი, უთქვამს, კარის უკან ვიღაცამ დაუსტვინა და ნუ გააფრთხილებო, მაგრამ ჰორაციო ელიზონდომ ყური არ უგდო. ჩეხმა კი განაცხადა: „ამ თამაშმა ათი წლის წინანდელი ერთი შეხვედრა გამახსენა, როცა გუნდმა, რომელშიც მე ვიყავი, 2:9 წააგო. მეტოქეს ხუთი წლით უფროსი ფეხბურთელები ჰყავდა. ახლაც მსგავსი რამ მოხდა. განელებმა აშკარად გვაჯობეს".

რატომირ დუიკოვიჩმა მეტოქის მეკარე აქო: „პეტრ ჩეხმა საოცრად ითამაშა და სასწაულები ჩაიდინა. ის რომ არ ყოფილიყო, დიდი ანგარიშით მოვიგებდით. ძალიან მძიმე მატჩი გამოდგა. ჩემმა გუნდმა საუცხოოდ ითამაშა, თუმც გული მწყდება, რომ ფორვარდებმა მომენტები ვერ გამოიყენეს".

კარელ ბრიუკნერი: „იან კოლერისა და მილან ბაროშის არყოფნას ვერ დავაბრალებ ამ მარცხს, რადგან განამ ძალიან კარგად ითამაშა, ჩვენი მცველები კი ხშირად ცდებოდნენ."

ვაჟა ხუციშვილი

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

E ჯგუფი. II ტური

თამაში ქაღალდის შუქნიშნით

იტალია 1:1 აშშ

ლარიონდამ ჯიბეში მწვანე ვერ იპოვა

№25. 17 ივნისი. 23.00. პიზერსლაუტერნი. „ფრიც ვალტერ სტადიონი". 46 000 მაყურებელი

1:0 ჯილარდინო (22), 1:1 ძაკარდო (27ს.ჯ.)



შეცვლა: ტოტი – 8. გატუზო (35), კონვი – 13. კონრადი (52), ძაკარდო – 7. დელ პიერო (54), ტონი – 15. იაკინტა (61), დემპსი – 17. ბისლი (62)

გაფრთხილება: ტოტი (5), ჰოუპი (21), ჰოუპი (47), ძამბროტა (70)

გაძევება: დე როსი (28), მასტროენი (45), ჰოუპი (47)

მსაჯები: ხორხე ლარიონდა; ვალტერ რიალი, პაბლო ფანდინიო (ურუგვაი)

13	---------- *ჯარიმა* ----------	24
7	---------- *კუთხური* ----------	3
10	---------- *ჯარისკენ დარტყმა* ----------	8
3	---------- *ჯარში დარტყმა* ----------	0
11	---------- *თამაშგარე* ----------	1

AFP. კის ზერსლაუტერნიდან

ჯილარდინომ ანგარიში ლამაზი თავურით გახსნა

ასეთი დრამატული და მოვლენებით უხვი თამაშის მერე, ალბათ, ყველაზე საინტერესოა, რას ფიქრობენ მწვრთნელები, მათი გადასახედიდან ხომ ყველაფერი სხვანაირად მოჩანს. ამიტომ, მოდი, ჯერ მატჩისშემდგომი პრესკონფერენციის მასალებში ჩავიხედოთ.

ბრიუს არენა: „დღეს ჩემი გუნდი ფანტასტიკური იყო, ცხრა კაცით ითამაშა ათის წინააღმდეგ, ხოლო ერთ შეხვედრაში ორი მოთამაშე რომ გაეძევებინოთ, ასეთი რამ კარიერაში პირველად გადამხდა.

რაც შეეხება ამ გაძევებების შეფასებას, ჩანაწერების ნახვამდე კომენტარისგან თავს შევიკავებდი, მატჩის გმირად კი მეკარე კეისი კელერი მინდა დავასახელო. ჩინებულად ითამაშა ავრეთვე ბობი კონვიმ.

ზოგადად, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩეხეთთან შეხვედრის შემდეგ თვალსაჩინოდ გავაუმჯობესეთ თამაში და ახლა უკვე ვიცი, რომ ჩემ განკარგულებაში ფანტასტიკურ მოთამაშეთა ჯგუფია".

მარჩელო ლიპი: „დღეს ცუდად ვითამაშეთ. ის, რასაც ვაკეთებდით, დაახლოებითაც არ ჰგავდა იმას, რაც განასთან ვაჩვენეთ პირველ შეხვედრაში. რატომ მოხდა ასე? ეჭვი მაქვს, რომ პირველი მატჩის შემდეგ ძალები სრულად ვერ აღვიდგინეთ. სხვათა შორის, ამას იმთავითვე ვეჭვობდი და, როგორც ჩანს, ჩემდა სამწუხაროდ, ყველაზე ცუდი ვარაუდი გამიმართლდა. და როგორც ეს ბევრჯერ მომხდარა, მეორე თამაშის წინ ჩვენი მენტალიტეტიც შეიცვალა. ფეხბურთელები ანერვიულდნენ და ეს ძალიან დაეტყო მათ თამაშს.

ყველაზე დიდი შეცდომა ის მოგვივიდა, რომ ბურთი დავთმეთ, ძაკარდოს ავტოგოლი კი უიღბლობის მეტი არაფერი იყო. შემდეგ მეტოქეს ორი ფეხბურთელი გაუძევეს და ჩვენ ეს უპირატესობაც ვერ გამოვიყენეთ.

დანიელე დე როსიზე თუ გავბრაზდი? ის ძალიან შეცდა, მაგრამ ნება მომეცით, მასთან ურთიერთობა შინაურულ გარემოში გავარკვიო. საჯაროდ ამ საკითხზე ლაპარაკი არ მინდა. მისი დისკვალიფიკაცია იქნება მისი საქციელის საფასური. ჯგუფში კი ჯერ ყველაფერი წინ არის".

მაშ ასე, ორი გოლი — ორივე იტალიელების გატანილი, ოღონდ ერთი მეტოქის და ერთიც საკუთარ კარში — ორიც გატანილი და არჩათვლილი (ერთი იტალიელებისა და ერთი ამერიკელების) და კიდევ სამი გაძევება. აი, ასეთი საინტერესო ავი მატჩი გაიმართა „ფრიც ვალტერ შტადიონზე".

და რომლით დავიწყოთ? მოდი, ვინაიდან ერთ მატჩში ორი ჩათვლილი და ორი არჩათვლილი გოლი მაინც უფრო ჩვეულებრივი ამბავია, ვიდრე ერთ მატჩში სამი გაძევება, გაძევებებით დავიწყოთ.

დე როსიმ, რომელზეც, როგორც ზემოთ გავარკვიეთ, მარჩელო ლიპი ალბათ მაინც გაბრაზდა, „სარბიელის" მკითხველისგან განსხვავებით, როგორც ჩანს, არ იცოდა, რომ ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა ჩემპიონატის დაწყებამდე საგანგებოდ შეყარა შეჯიბრებაზე აკრედიტებული მსაჯები და ერთადერთი კონკრეტული მითითება მისცა — იდაყვის მქნეველები დასაჯეთ!

ჰოდა, დასაჯეს!

შემდეგ, პირველი ტაიმის მიწურულს მსაჯმა ამერიკელი პაბლო მასტროენი გააძევა. იგი ანდრეა პირლოს უკნიდან ორი ფეხით დაესხა თავს, ეს კი არ შეიძლება.

მესამე გაძევება კი, წინა ორის ფონზე შესაძლოა ნაკლებად „კრიმინალური" ჩანდა, მაგრამ, მეორე მხრივ, განა მეორე ყვითელი ბარათი არ ისჯება? ასე გააძევეს 47-ე წუთზე ედი პოუპი.

არჩათვლილი გოლების ამბავი ასე იყო: დანიელე დე როსის გაძევებიდან შვიდ წუთში მარჩელო ლიპიმ ტაქტიკური ცვლილება გააკეთა — ფრანჩესკო ტოტის მაგივრად ჯენარო გატუზო შეიყვანა მოედანზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ გუნდი ისევ ორი საყრდენი ნახევარმცველით ამოქმედდა, ფორვარდთა დამხმარე მესამე, უკანა თავდამსხმელი კი მოედნიდან გავიდა. ჰოდა, გატუზო სულ რაღაც ერთი წუთის შესული იყო, როდესაც საჯარიმოს მისადგომებიდან ღონივრად დაარტყა და გაიტანა, მაგრამ თანამსაჯს წინ მდგომ იტალიელებზე თამაშგარე ჰქონდა აღნიშნული და გოლი არ ჩაითვალა. ისე, იყო თამაშგარე?

და ასევე თამაშგარეს გამო არ ჩაითვალა და მარკუს ბისლის გოლი. მისი დარტყმის დროს, ეს ამბავი კი 65-ე წუთზე მოხდა, ბრაიან მაკბრაიდი იყო პასიურ ოფსაიდში, ოღონდ თანამსაჯმა ჩათვალა, რომ ის მეკარე ჯანლუიჯი ბუფონს უშლიდა ხელს.

ჩავთლილი გოლები კი მაშინდელია, მეტოქეები ჯერ კიდევ თერმეტ-თერთმეტნი რომ თამაშობდნენ და ყველაფერი გასაგებად იყო — პირლომ საჯარიმოდან თავზე დაასვა ბურთი ალბერტო ჯილარდინოს და მანაც არ დააღალატა თანაკლუბელ-თანანაკრებელი, ხოლო ხუთ წუთში კლაუდიო რეინამ ჩააწოდა ასევე საჯარიმოდან და... კრისტიან ძაკარდომ გაუმართლა.

ერთი წუთის შემდეგ კი დე როსიმ მაკბრაიდს მუჯლუგენი ჰკრა და დაიწყო...

AFP. კის ზერსლაუტერნიდან

დანიელე დე როსი (№4) იდაყვის უშნოდ ჭნევისთვის გააძევეს

პაპუნა ცხრილი

იტალია	2	1	1	0	3:1	4
ჩეხეთი	2	1	0	1	3:2	3
განა	2	1	0	1	2:2	3
აშშ	2	0	1	1	1:4	1

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

D ჯგუფი. II ტური



დიდი ფილი

კრიშტიანუ რონალდუმ მირზაპური მარცხნივ გადააბტუნა

ორმოცწლიანი ობი მოხსნილია

სკოლარის ცხრა მარცხნიდან გამოცხვა

პორტუგალია 2:0 ირანი

№24. 17 ივნისი. 17.00. ფრანკფურტი, „ვალდშტადიონი". 48 000 მაყურებელი

1:0 დეკუ (63), 2:0 რონალდუ (80პ)

1 რიკარდუ

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

13 მიგელი, 5 ფ. მეირა, 16 რ. კარვალიუ, 14 ნუნუ ვალენტე

6 კოშტინია, 18 მანიშე

20 დეკუ, 7 ფიგუ, 17 კ. რონალდუ

9 პაულეტა

9 ჰაშემიანი

8 ქარიმი

21 მადანჩი, 2 მაჰდავიკია

14 თეიმურიანი

20 ნოსრატი, 6 ნეკუნამი, 4 გოლმოჰამადი, 5 რეზაეი, 13 კააბი

1 მირზაპური

მწვრთნელი: ბრანკო ივანკოვიჩი

შეცვლა: ქარიმი – 7. ზანდი (65), მადანჩი – 11. ხატიბი (66), მანიშე – 8. პეტიტი (67), დეკუ – 19. ტიაგუ (80), გოლმოჰამადი – 3. ბახტიარიზადეჰი (88), ფიგუ – 11. სიმაო (88)

გაფრთხილება: ნეკუნამი (20), მადანჩი (32), პაულეტა (46), დეკუ (48), კოშტინია (61), კააბი (73), გოლმოჰამადი (88)

მსაჯები: ერიკ პულა; ლიონელ დაგორნე, ვენსან ტექსიე (საფრანგეთი)

19	ჯარიმა	18
13	კუთხური	1
18	კარისკენ დარტყმა	5
10	კარში დარტყმა	1
4	თამაშგარე	3

ფელიპე სკოლარიმ მშობლიურ ბრაზილიას ერთი დღით გადაასწრო. დიახ, ასეა — ბრაზილიამ ხორვატიას რომ მოუგო, ერთი ამბავი ატყდა, პენტაკამპეონებმა მსოფლიოს ჩემპიონატებზე ზედიზედ მერვე გამარჯვება მოიპოვესო და ამ დროს ყველას დაგვავიწყდა დიდი ფილი, ვისი თავკაცობითაც მოიგეს ბრაზილიელებმა წინა ჩემპიონატზე შვიდი თამაში და ვინც ახლა პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელის რანგში აგრძელებს მუნდიალებზე ფანტასტიკურ სერიას.

ლუიშ ფელიპე სკოლარის წარმატებული სერია უკვე 9 სამუნდიალო მოგებას ითვლის და ორი წლის წინანდელ ევროპის ჩემპიონატზე ბერძნებთან ორმაგი ფიასკო რომ არა, ბრაზილიელი მთლად უნიკალური მიღწევის შემოქმედი იქნებოდა.

სკოლარის გუნდები, როგორც წესი, იგებენ, სკოლარის გუნდები, როგორც წესი, ძალიან ცოტა გოლს უშვებენ, მაგრამ ისინი ერთმანეთს არ ჰგვანან. დიდი ფილი დოგმატიკოსი და ერთი რაიმე სათამაშო სქემის მიმდევარი არ არის. სკოლარი პრაქტიკოსი კაცია და ის ყოველთვის ბრწყინვალედ იყენებს იმ ფეხბურთელებს, რომლებიც მის განკარგულებაში არიან. ოთხი წლის წინ ფელიპაოს რონალდო და რივალდო ჰყავდა და ბრაზილია ძირითადად ცენტრიდან უტევდა. ახლა სკოლარის ფიგუ და კრიშტიანუ რონალდუ ჰყავს და პორტუგალიელები ფლანგებიდან ამჯობინებენ თამაშს.

ირანთან გუშინწინდელ მატჩში გამოჯანმრთელებულმა დეკუმაც ითამაშა. მაგრამ დიდმა ფილმა მაინც ფრთებიდან შეტევები ამჯობინა და არც შემცდარა. პორტუგალიელთა მიერ ფლანგების გამოყენება სამაგალითოც იყო და სასეიროც. სამაგალითო იმიტომ, რომ სკოლარის გუნდმა საბოლოო წარმატებას სწორედ ფლანგური გარღვევების წყალობით მიაღწია და რაც შეეხება სასეიროს, ლუზიტანიელთა მიერ ფლანგების ათვისება-გამოყენება მართლაც უცნაური იყო. პირველ ტაიმში ისინი ძირითადად მარჯვენა მხრიდან უტევდნენ. აქ იყო ფიგუ, აქ იყო მიგელი და უმეტესწილად მათ რონალდუც უერთდებოდა. ამ სამეულმა გატანჯა სპარსელთა დაცვის მარცხენა ფრთა, რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნა და საბოლოო ჯამში შესვენებამდე ერთბაშად რვა კუთხური გამოიმუშავა.

აი, მეორე ტაიმში კი პორტუგალიელებმა მარცხნიდან შეუტიეს და მეორე ფრთა, ფაქტობრივად, სულ დაივიწყეს. ფიგუ და რონალდუ უკვე მარცხნივ ირჯებოდნენ და, მართალია, კუთხურების რაოდენობამ იკლო, ამ კომპონენტში პორტუგალიელებმა მეტოქეს მაინც საოცარი უპირატესობით — 13:1 აჯობეს. თუმცა არც სამ, არც ცხრა და არც ცამეტ კუთხურზე არც გოლი ითვლება და არც პენალტი ინიშნება. გოლი და პენალტიც, რომელსაც მეორე გოლი მოჰყვა, მარცხენა ფრთიდან გამოცხვა და მათი შემოქმედი პორტუგალიელთა კაპიტანი, ლიდერი და სული და გული, მატჩის საუკეთესო მოთამაშე ლუიშ ფიგუ იყო. პირველ შემთხვევაში მან უზადო პასი მიაწოდა ცენტრში მყოფ დეკუს და ამ უკანასკნელმა არანაკლებ უზადო დარტყმით უსაქმოდ დატოვა სპარსთა მეკარე მირზაპური, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ფიგუ ისევ მარცხენა მხრიდან დრიბლინგით შეიჭრა ირანელთა საჯარიმოში და ასპროცენტიანი პენალტი რონალდუმ გარდასახა.

აი, ასე იყო — პორტუგალიელებმა ანგოლასთან, ცოტა არ იყოს, ძნელი გამარჯვების შემდეგ საკმაოდ იოლად სძლიეს ირანს და მერვედფინალის საგზური გაინაღდეს, ხოლო მათმა ბრაზილიელმა მწვრთნელმა ზედიზედ მეცხრე სამუნდიალო თამაში მოიგო.

სპარსელები კი, რომლებმაც რიხინ-რიხინით იარეს აზიურ გზებზე და უპრობლემოდ მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური, აშკარად სუსტები არიან და ვინ იცის, იქნებ არც გამოდგებიან პორტუგალიელთა რეალური ძალის შესაფასებლად. თვით განთქმულმა ბუნდესირანელებმა — ალი ქარიმიმ და ვაჰიდ ჰაშემიანმა ვერაფერი სახეირო ვერ შექმნეს და ირანელებში ყველაზე გამორჩეული შეცვლაზე შესული რასულ ხატიბი იყო, ვის აქტიურობასაც რამდენიმე სახიფათო მომენტი მოჰყვა. თუმცა იმ დროისთვის სკოლარის გუნდს თავისი უკვე გატანილი ჰქონდა და ხატიბის მონდომებამაც ამაოდ ჩაიარა.

იყო კიდევ რამდენიმე ეპიზოდი, ოღონდაც ეს ეპიზოდები კარატეს რომელიმე სკოლას უფრო დაამშვენებდა, ვიდრე ფეხბურთს და, რაც ყველაზე საინტერესოა, ამ შემთხვევაშიც ფიგუ აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში — რომელიღაც ირანელის წიხლი პორტუგალიელთა კაპიტანს სახეში მოხვდა და ფიგუმ ღმერთს მადლობა უნდა უთხრას, მხოლოდ ლოყა რომ გაეხა და უფრო საშინელი რამ არ დაემართა.

სკოლარი კი უკვე მომავალზე ფიქრობს: „ბოლო ხანებში ეს ჩვენი საუკეთესო თამაში იყო. პროგრამა მინიმუმი, ანუ ჯგუფიდან გასვლა შესრულებულია და მექსიკასთან მატჩში სხვა რამეებზეც შეიძლება ყურადღების გამახვილება. მაგალითად, ალბათ დავასვენებ იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც ყვითელი ბარათები აქვთ მიღებული" — განაცხადა მატჩის შემდეგ დიდმა ფილმა, ვისი წყალობითაც პორტუგალიის ნაკრებმა, პირველად 1966 წლის შემდეგ, მუნდიალის ჯგუფური ბარიერი გადალახა.

გიორგი ბერიკაშვილი

პორტუგალია	2	2	0	0	3:0	6
მექსიკა	2	1	1	0	3:1	4
ანგოლა	2	0	1	1	0:1	1
ირანი	2	0	0	1	1:5	0

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

დღეს. H ჯგუფი. II ტური

საუდის არაბეთი — უკრაინა

ჰამბურგი. „AOL არენა“. 20.00

21. ზაიდი; 3. ტუკარი, 4. ალ მონტაშარი, 2. დოხი, 23. ალ ჰავშავი; 6. ალ ჯამდი, 14. ხარირი, 10. ალ შლჰუბი, 12. ხათრანი; 18. ალ ტემიატი, 20. ალ კატანი მწვრთნელი: მარკოს პაკეტა	1. შოვკოვსკი; 5. იეზერსკი, 6. რუსოლი, 13. ჩიგრინსკი, 2. ნესმაჩნი; 19. კალინიჩენკო, 4. ტიმოშჩუკი, 14. გუსინი, 16. ვორობეი; 7. შევჩენკო, 10. ვორონინი მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

ზოგი საქეიფოდ იყო, ზოგი უქეიფოდ

ოლეგ ბლოხინი და ანდრეი შევჩენკო

AFP

უკრაინის ნაკრებისგან ბევრი სიურპრიზებს ელოდა, მაგრამ პირველი მატჩი ოლეგ ბლოხინის შეგირდებმა საზიზღრად ჩაატარეს და სერბებთან ერთად, მუნდიალზე ყველაზე სუსტის შთაბეჭდილება დატოვეს.

სერგეი რებროვი: „ეს მატჩი ჩვენთვის ბევრად უფრო ძნელი იქნება, ვიდრე წინა. ესპანეთთან ამოცანა ნათელი იყო, გვსურდა კარგად გვეთამაშა, რომ ქულისთვის გამოგვეკრა ხელი. ახლა კი ჩვენგან ყველა მოგებას ელის, რათა ჯგუფიდან გასვლის შანსი შევინარჩუნოთ და თითოეულ ფეხბურთელზე სერიოზული ფსიქოლოგიური ზეწოლაა“.

საინტერესოა, რომ ესპანეთთან სამარცხვინო ანგარიშით, 0:4 წაგების შემდეგ, იმავე საღამოს, უკრაინელთა რამდენიმე მოთამაშე ბარში უნახავთ, რამაც ძალიან გააღიზიანა უკრაინის ფებურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრიგორი სურკისი.

„თქვენც ნახეთ გუშინ მხიარული გუსევი და იზერესკი მეუღლესთან ერთად ბარში? ეს არანაკლებ გამიკვირდა, ვიდრე თქვენ. ჩემი განწყობა რადიკალურად განსხვავებული იყო და გასართობად ნამდვილად არ მცხელოდა. საინტერესოა, რამ გაამხიარულა ასე ფეხბურთელები 0:4-ის შემდეგ“ — განუცხადა სურკისმა ჟურნალისტებს.

ამასობაში, ვარჯიშზე ხელი მოიტეხა უკრაინელთა მესამე მეკარემ ბოგდან შუსტმა, რომელსაც უკვე თაბაშირი დაადეს. ასე რომ, ახლა ოლეგ ბლოხინი ალექსანდრ შოვკოვსკისა და მისი დუბლიორის, ანდრეი პიატოვის ამარა დარჩა. ანდრეი ვორობეიმ კი ბეჭი იტკინა და მხოლოდ ტკივილგამაყუჩებლების გაკეთების მერე მოახერხებს ვარჯიშს.

ბლოხინი ისევ 4-4-2-ით ითამაშებს. ესპანეთთან გაგდებულ ვლადისლავ ვაშჩუკს დონეცკის „შახტარის“ 19 წლის მცველი დმიტრი ჩიგრინსკი შეცვლის. ოლეგ გუსევს მუხლის ტრავმა აწუხებს და მისი თამაში სათუოა. ცხადია, ძირითადში იქნება უკრაინელთა ლიდერი ანდრეი შევჩენკო, რომელიც ჯერ სასურველ ფორმაში არ არის.

„ესპანეთთან მატჩის მერე თავს ბევრად უკეთ ვგრძნობ, მაგრამ ფორმაში ჯერ არ ვარ. ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ. პირველი მატჩი წავაგეთ, მაგრამ შანსი ჯერ გვაქვს და ვიბრძოლებთ კიდეც“ — თქვა შევჩენკომ.

4-4-2-ით ითამაშებს საუდეთიც. აზიელთა ლიდერმა სამი ალ ჯაბერმა ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და ძირითადში იქნება. თუ ჯგუფიდან გასვლა უნდათ, მარკოს პაკეტას შეგირდებმაც მოგებაზე უნდა ითამაშონ, რადგან ბოლო მატჩი ესპანეთთან ელით.

„მთავარია, ანდრეი ვორონინსა და ანდრეი შევჩენკოს სივრცე მაქსიმალურად შევუზღუდოთ. ფრის შემთხვევაში შანსი კვლავ გვექნება, მაგრამ ბოლო შეხვედრა ესპანეთთან გვაქვს და ამიტომ მოგებაზე უნდა ვითამაშოთ“ — აღნიშნა საუდელთა ბრაზილიელმა თავკაცმა.

გიორგი კაკაბაძე

ესპანეთი — ტუნისი

დღეს. შტუტგარტი. „გოტლიბ დაიმლერ შტადიონი“. 23.00

1. კასილიასი; 22. პაბლო, 15. სერხიო რამოსი, 5. პუიოლი, 3. პერნია; 16. სენა, 14. ხაბი ალონსო, 8. ხავი; 21. ვილია, 9. ფ. ტორესი, 11. ლუის გარსია მწვრთნელი: ლუის არაგონესი	1. ბუმნიჟელი; 6. ტრაბელსი, 15. ჯაიდი, 3. ჰაგუი, 18. ჟემალი; 20. ნამუში, 12. მნარი, 14. ჩედლი, 13. ბუაზიზი; 5. ჯაზირი, 9. შიხაუი მწვრთნელი: როჟე ლემერი

მსაჯი: კარლოს სიმონი (ბრაზილია)

AFP

არაგონესი რაულს სათადარიგოებში დატოვებს

ტუნისამდე ესპანეთს რაულმა მოუგო

უკრაინის განადგურების შემდეგ ესპანეთის ნაკრებს როჟე ლემერის ტუნისთან უწევს შეხვედრა. პირინეელთა ბანაკში კარგი განწყობა სუფევს — ხუმრობა საქმე ხომ არ არის, 4:0 არასდროს გაუმარჯვია ესპანეთს მუნდიალების სადებიუტო თამაშებში. „ელ საბიო“ (მეცნიერი) ლუის არაგონესიც ჩრდილოაფრიკელებთან საომრად, სავარაუდოდ, იმავე შემადგენლობას გაიყვანს, 14 ივნისს ლაიპციგში უკრაინა რომ „შეჭამა“. კასტილიელთა თავდასხმის ხაზი საბრძოლო ფორმაშია. ფერნანდო ტორესმა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარა, გოლი შეაგდო, პენალტი გაახერხა და, საერთოდ, უკრაინელთა მცველებს სისხლი გაუშრო. მეორე ფორვარდმა, ვალენსიელმა დავიდ ვილიამ კი ორი გოლი გაიტანა და მუნდიალის მთავარმეგოლეებს შეუერთდა. ესპანელთა ლეგენდა რაულს ტუნისთანაც, ალბათ, სათადარიგოებში ვიხილავთ. თუმცა ძირითადში არყოფნა იმას არ ნიშნავს, რომ მწვრთნელი მისით უკმაყოფილოა. ლუის არაგონესმა უკრაინასთან სასტარტო თერთმეტში მეომარ ბიჭებს, გუშინწინ რაული და სათადარიგოები შეაჯიბრა და თამაშიც 2:0 დამთავრდა ამ უკანასკნელთა გამარჯვებით. გოლები რეიესმა და ალბელდამ გაიტანეს. „უკრაინასთან დიდი ანგარიშით შემთხვევით არ მოგვიგია. ამას ტუნისთან შეხვედრაშიც დავამტკიცებთ. ფეხბურთელებში ერთსულოვნებაა, ტრავმები არ გვაწუხებს და გუნდიც მოსაგებად გავა მოედანზე“ — განუცხადა მედიას ლუის არაგონესმა.

აფრიკელებს კი ლუისის შეგირდებთან ჯახში თანამემამულე ფანთა დიდი არმია გაამხნევებს.შტუტგარტის „გოტლიბ დაიმლერ შტადიონზე“ სულ 53 ათასი კაცი ეტევა და, გაზეთების ცნობებით, აქედან 35 ათასი, სავარაუდოდ, ტუნისელი იქნება! მოკლედ, ორშაბათს შტუტგარტი წითელ ფერში გამეწყობა. თუმც გულშემატკივართა სიმრავლე ლემერის გუნდს მთავარ დანაკლისს ვერ აუნაზღაურებს — ფრანსელინო დუშ სანტუში, წარმოშობით ბრაზილიელი ფორვარდი ტრავმირებულია და „ფურია როხას“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. ტუნისმა წინა მატჩი საუდის არაბეთთან ჩაატარა და ზიად ჯაზირის პირველი გოლის მიუხედავად, 2:2-ს ვერ ასცდა. „ესპანეთს დიდებული გუნდი ჰყავს, თუმცა ჩვენთან თამაშობენ ჰამედ ნამუში, მეჰდი ნაფტი, ბუაზიზი, ჯაზირი... ტუნისის ნაკრების სიძლიერეში ეჭვი არ მეპარება“ — უთქვამს როჟე ლემერს, საფრანგეთი ეროვნული გუნდისთვის 2000 წლის ევროთასის მომტანს და ახლა ტუნისს თავკაცს. „უკრაინა, მართლაც, საშინლად გაანადგურეს, თუმცა სუსტი წერტილები ესპანეთსაც აქვს და ჩვენ ამას გამოვიყენებთ“ — განაცხადა მეჰდი ნაფტიმ.

ლადო ხომერიკი

ესპანეთი	1	1	0	0	4:0	3
საუდეთი	1	0	1	0	2:2	1
ტუნისი	1	0	1	0	2:2	1
უკრაინა	1	0	0	1	0:4	0



AFP

როჟე ლემერი

გიო ახვლედიანის სვეტეული

შაბათის საქმე

ეეჰ ჯგუფი და თვალები, თვალები...

AFP

ჩემპიონატი იმგვარად გახურდა, რომ ნამდვილად აღარ მოიწყენ.

გუნდები კი ზედიზედ ალაგებენ ბარგს, მაგრამ ისეთებიც მრავლად არიან, ბოლო დღემდე რომ უარს აცხადებენ ბარგის ჩალაგებაზე, რაღა მე, ჯობია, შენ წახვიდეო.

დასახვრეტად გაყვანილი კოტ დივუარი იმგვარი ღირსებით, გაქანებითა და ოსტატობით დაუხვდა მსოფლიოს ორ დიდ გუნდს, რომ სიკვდილის ჯგუფად სახელდებულ ოთხეულში საძირკვლების შერყევა ეწადა, თუმცა ამ ჯერზე არ გამოვიდა. ეს ჯგუფი კი სულაც არ გამოდგა სიკვდილის ჯგუფი, უფრო მკვლელობათა ჯგუფი გამოდგა: მკვლელი კი, ცხადია, არგენტინაა.

სიმპათიური მკვლელია: ხმელი, მოქნილი, კარგი მანერებით. თუ დაივიწყებს, რომ მკვლელია, სასიძოდაც კი მოუნდება კაცს.

ტრიბუნებზე ლაღობს დიეგო მარადონა, ისე ჩანს, რომ ცოლი შერიგებია, კლაუდიაც იქავე ზის.

რაც მარადონა წავიდა, არგენტინის ნაკრების შიდა ცხოვრებაში მეფობდა ძველბიჭობა, კუტოკობა, მე უფრო მაგარი ვარ, ტო-ს პრინციპები და სხვა სისულელეები. ხოსე პეკერმანის დამსახურება ისიცაა, რომ ეს ლაპარაკები მოკლა, კუტოკები დაშალა, ან უბრალოდ არ შეიყვანა ნაკრებში და ახლა ერნან კრესპო აღიარებს, ჩვენ საკუთარ თავზე არ ვფიქრობთ, მხოლოდ გუნდზეო. დიდი მიღწევაა: მარადონა იმხელა იყო, რომ მის შორიახლოს ვიწრო ლაპარაკებს აზრი არ ჰქონდა, მერე კი ატყდა.

ცხადია, მარადონაზე და კლაუდიაზე პაპარაცები ნადირობენ, მაგრამ ფოტომსროლელთა ყველაზე დიდი ლაშქარი ჩასაფრებულია ბადენ ბადენში, მდინარის პირას, რომლის მეორე ნაპირზეც დგას „ბრანერს პარკ ჰოტელი“, იქ კი სახლობენ ინგლისელ ფეხბურთელთა ცოლები და გოგოები ვიქტორიათი დაწყებული, კოლინ მაკლაფლინით დასრულებული.

არი ერთი დამიზნება, ჩხაკუნი და დევნა.

რთული ცხოვრებაა, რა თქმა უნდა. ამ ჩხაკუნმა თავის დროზე დიდი ფილიც წაახდინა, წადი თქვენიო, არ მინდა ინგლისის ნაკრების მწვრთნელობაო.

ჩვენ კი აფრიკას მივუბრუნდეთ.

ანგოლელები მართლები ყოფილან, ფსიქოლოგის დახმარებაზე რომ უთქვამთ უარი: აბა, რაში სჭირდებათ? ურყევი და უტეხი გუნდია, რაც პორტუგალიასთან თამაშშიაც კი ეტყობოდა. მექსიკა კი წახდა. საერთოდ კიდევ, მეორე ტური უფრო თვალნათლივ ავლენს კარგი გუნდების ნაკლოვანებებს.

სიკვდილის ჯგუფი კი სულ სხვა, „ე“ ჯგუფი გამოდგა. მეტიც, ამ ჯგუფს შეიძლება დავარქვათ, „ეეეე“ ჯგუფი, ანდა საერთოდაც, „ეეჰ“ ჯგუფი. აქ დიდი დრამა ტრიალებს. ორი თამაშის თავზე ჩეხებს საერთოდ აღარ ჰყავთ თავდამსხმელი (ლოკვენცის მეორე ყვითელი საერთოდაც სასიკვდილოა), განა თავს ისე გრძნობს, როგორც ლეოპარდი სავანაში, ამერიკელები მეორე ფრონტს ხსნიან, ხოლო იტალიას, როგორც ყოველთვის, ახლაც ქულა ჰყოფნის. ეეეეე... ჯგუფი. სწორედ ესა ჩანს ყველაზე თვალსასეირო ამბავი ჯერჯერობით.

ალბერტო ჯილარდინომ ბრწყინვალე თავურით კი გაიტანა და მერე ისიც გვაჩვენა, ფეხბურთის პაგანინი ვარ და ეს კომბინაცია ნოტებზე გავითამაშეთო, მაგრამ დიადი ოპერა იტალიას არ გამოუვიდა. იტალია თითქოს დაცვიდან თამაშობს, მაგრამ იმავდროულად შეტევა სწყურია, რაც მარჩელო ლიპის შინაგანი მოთხოვნილებაა. მაგრამ გუნდი უკვე ორჯერ მოჰყვა ხორცსაკეპში და ათასი ტკივილიც გამოაჩნდა. საერთოდ კი, ჩემპიონატის ყველაზე შთამბეჭდავი, სიმბოლური, თეატრალური და იმავდროულად ნამდვილი შეცვლა სწორედ შაბათ საღამოს იყო: განუმეორებელი სურათი გახლდათ, როცა მოედნიდან ტოტი გავიდა და მის ნაცვლად ჯენარო გატუზო შემოვიდა.

იტალიას მსოფლიოს ჩემპიონატზე ალბერტო ჯილარდინოს მიოლინო კი არა, ორღანი სჭირდება

AFP

მოკლედ, თამაში გახურდა. ჰენალტიც გაფუჭდა, ოფლიც დადინდა და სისხლიც.

კაპიტალიზმმა კი თავისი მოითხოვა: პარასკევ საღამოს ათას ჰოლანდიელ ფანს ორი ათასი ტოტი ფორთოხლისფერი შარვალი გახადეს და ისე შეუშვეს სტადიონზე. მიზეზი ის იყო, რომ შარვლებს ნიდერლანდური ლუდის, „ბავარიას“ ლოგო ამშვენებდა, რაც ტელეკამერის წინ არ უნდა გათამაშდეს, რადგან მსოფლიო ჩემპიონატის ლუდი „ბუდვაიზერია“. მანამდე ინგლისელ ფანებსაც გახადეს „ნაიკის“ სამოსი, აქ მთავარი „ადიდასიაო“.

სვენ გორან ერიკსონს კი მადრიდისკენაც ეწევიან და სამხრეთ აფრიკისკენაც. ასე წერია გაზეთებში. საერთოდ კიდევ, მსოფლიო ჩემპიონატის მწვრთნელები ცალკე საუბრის თემაა და აქ ძნელად ჩაეტევა. აბა, ნახეთ, რა ბიძაა მექსიკელთა მეთაური თავისი შავყვითელი ჰალსტუხით! ტელევარსკვლავი, სერიალების გმირი... აბა, კიდევ ნახეთ, სახელოებდაკაპწებული კლინსმანი, რომელიც ისე მწვრთნელობს, თითქოს თვითონ თამაშობსო. ანდა იაკობ კუნი ნახეთ, სამთო კურორტის მშვიდ დამსვენებელს რომ ჰგავს, ანდა ძველი თბილისელი ცეხავიკის იერის ოტო. ჰფისტერი, ტოგოელთა გამზრდელი.

რა ვიცი, რომელი ერთი.

ყველაზე ხშირად კარლოს ალბერტო პარეირას ვაკვირდები და ამ კაცის თვალებში ჩანს უზომო სევდა და გამოუთქმელი, მიმალული შფოთი. ეგებ ისიც იფიქრო, რამდენ რამეს იტევს ადამიანის ხასიათი. რამდენი რამ შენახულნი შიგნით. პიონატის ყველაზე ბრძენი, ალბათ, ეს ბიჭია. ეს ბიჭი ბრაზილიელია, ბრაზილიელ ბიჭებს ასეთ ბიჭობას ეუბნებიან ხოლმე. ეს ბიჭი ბრაზილიელ ბიჭებს ეუბნებოდა, ბიჭებო, ეს ბურთი ასეთ ბურთია, ეს ბურთი ასეთ ბურთია, ეს ბურთი ასეთ ბურთია

ევროპული ივლისი პოლონეთში

19-წლამდელ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატს წლეულს პოლონეთი უმასპინძლებს. **A**-ჯგუფში მასპინძლებთან ერთად მოხვდნენ ავსტრიის, ბელგიისა და ჩეხეთის ნაკრებები. **B**-ჯგუფში კი — შოტლანდიის, პორტუგალიის, ესპანეთისა და თურქეთის გუნდები.

18-23 ივლისს ჯგუფური ეტაპის შეხვედრები გაიმართება. ჯგუფებში პირველ-მესამე ადგილებზე გასული გუნდები გაისად 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ, თუმცა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში მხოლოდ პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები გავლენ. ნახევარფინალები 26 ივლისს შედგება, ფინალი 29 ივლისს პოზნანის „მესკის“ სტადიონზე გაიმართება.

ევროპის ჩემპიონატი 19-წლამდელთა შორის 1948 წლიდან იმართება, ხოლო უეფას მეშვეობით — 1955 წლიდან. პირველი 32 წლის მანძილზე ტურნირის ფორმატი ხშირად იცვლებოდა. ამ პერიოდში ინგლისელებმა რვაჯერ მოიგეს ტურნირი, საბჭოთა კავშირის ნაკრებმა — ოთხჯერ, ხოლო ბულგარეთმა — სამჯერ.

1980 წელს უეფამ ტურნირს ფორმატი შეუცვალა და მას 18-წლამდელთა შეჯიბრი ეწოდა. პარალელურად დაიწყო 16-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ჩატარება, 2001-02 წლების სეზონიდან კი საბოლოოდ დადგინდა ტურნირის განმასაზღვრელი ასაკები: 16-წლამდელთა ევროჩემპიონატს 17-წლამდელთა შეჯიბრი ეწოდა, 18-წლამდელთას კი — 19-წლამდელების.

1980-81 წელს, როცა პირველად ჩატარდა 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი, რომლის მემკვიდრეცაა წლევანდელი ტურნირი, მაშინდელი გფრ-ის ნაკრებმა იმარჯვა. შემდეგ მთავარი ჯილდო 13 ქვეყნის გუნდებმა მოიგეს. ყველაზე მეტჯერ ფრანგებმა — ხუთჯერ, მათ შორის, შარშან.

ინგლისმა, რომელიც ყველაზე ხშირად იგებდა ტურნირს გასული საუკუნის შუა წლებში, ბოლო ხანებში მხოლოდ ერთხელ, 1993 წელს იმარჯვა. მაშინ გუნდის ღირსებას გარი ნევილი, პოლ სქოულზი და სოლ კემპბელიც იცავდნენ. ცნობილი ფეხბურთელებიდან ამ ასაკში ევროპის ჩემპიონატი მიკაელ სილვესტრს, ტიერი ანრის და დავიდ ტრეზეგესაც მოუგიათ (1996 წელს). ანრი და ტრეზეგე ორი წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში.

კარლოს ტენორიო

ეკვადორული დევიზი: გავიტანოთ და დავიწყოთ

ეკვადორელი ფორვარდი კარლოს ტენორიო გერმანიასთან შეიძლება, ვერ ვიხილოთ. ტენორიომ, რომელმაც როგორც პოლონეთს, ასევე კოსტა რიკას თითო გოლი გაუტანა, მეორე ტურის შემდეგ კოჭის ტკივილით დატოვა მოედანი და სავარაუდოდ, პლეი ოფამდე დაასვენებენ. პლეი ოფში კი ეკვადორი გასულია.

„შემადგენლობას დიდად არ შევცვლით, მათგან, ვისაც ყვითელი ბარათები აქვთ ზოგიერთი შეიძლება დავასვენო“ — უთხრა ჟურნალისტებს მწვრთნელმა ლუის ფერნანდო სუარესმა, რომელსაც ყვითლიანები ჰყავს კაპიტანი ივან ურტადო, მცველი ულისე და კრუსი, მეკარე კრისტიან მორა და ნახევარმცველები ედისონ მენდესი და კასტილიო სეგუნდო.

წესი ასეთია: ის ფეხბურთელები, რომლებიც ჯგუფურ ეტაპს ერთი ყვითელი ბარათით დაასრულებენ, პლეი ოფს „სუფთად“ იწყებენ.

„რაც შეეხება გერმანელებთან თამაშს, თუ ჩვენ ფრეს დავგეგმავთ და ისე გავალთ მოედანზე, აუცილებლად წავაგებთ. ჩვენი ამოცანა ამ შეხვედრაში ერთია: ყველას უნდა ვაჩვენოთ, რომ რაც უფრო ძლიერია მეტოქე, მით უფრო ძლიერად ვთამაშობთ. ჩვენი დევიზია: გოლის გატანა მეორესთვის ბრძოლის დაწყებას ნიშნავს“

კაპუნა კედია

ოლბოკი იბრაჰიმოვიჩის საზარდულს დააზღვევს

შვედეთის ნაკრების თავდამსხმელი ზლატან იბრაჰიმოვიჩი ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრაში, ალბათ, არ ითამაშებს. მიზეზი: საზარდულის ტრავმა. ეს ამბავი გუნდის ექიმმა მაგნუს ფორსბლადმა პრესკონფერენციაზე განაცხადა. ჯგუფური ეტაპის ბოლო თამაში კი შვედებს, არც მეტი არც ნაკლები, ინგლისელებთან აქვთ.

ფორსბლადის თქმით, იბრაჰიმოვიჩს სამედიცინო ტესტები პარასკევს ბრემენში ჩაუტარეს და გაარკვიეს, რომ ტრავმა, რომელიც „იუვენტუსის“ ფორვარდმა პარაგვაისთან თამაშის წინ, მოთელვისას მიიღო, მძიმე არ იყო, მაგრამ თუ ის ორგანიზმს არ დაასვენებს, შეიძლება მძიმეში გადაიზარდოს.

„ამწუთას იბრაჰიმოვიჩი თავს უკეთესად გრძნობს, მაგრამ დღეს და ხვალ აღდგენით სამუშაოებს ჩავუტარებთ და მერე ვნახავთ — თქვა ექიმმა — სავარაუდოდ ის ინგლისთან არ ითამაშებს“.

იბრაჰიმოვიჩმა, რომელსაც შვედეთის ნაკრების შემადგენლობაში 40 შეხვედრაში 18 გოლი აქვს გატანილი, პარაგვაის წინააღმდეგ მხოლოდ 45 წუთი ითამაშა, მერე კი შეცვალეს. როგორც ამბობენ, 24 წლის თავდამსხმელი საზარდულის ტკივილს ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე გრძნობდა.

პრესკონფერენციაზე გამოვიდა შვედთა ეროვნული გუნდის მწვრთნელი ლარს ლაგერბეკიც, რომელმაც განაცხადა, რომ ექიმთა რჩევას გაითვალისწინებს და იბრაჰიმოვიჩს მარკუს ოლბოკით შეცვლის.

„რა თქმა უნდა, გვინდა ჩვენი საუკეთესო მოთამაშეები მოედანზე გვყავდეს, ზლატანი კი ერთ-ერთი ასეთთაგანია, მაგრამ ეს ფეხბურთია, ფეხბურთში კი ყველაფერი ხდება“ — ბრძანა მან.

პატარა პრობლემა აქვს ინგლისსაც — გარი ნევილმა კვირას ვარჯიშის პირველი ნახევარი გამოტოვა. ნევილმა წინა ოთხშაბათს, ნიურნბერგში ვარჯიშისას, კანჭი იტკინა და მასაჟები დასჭირდა.

კაპუნა კედია

დეშანის შანსი



სანამ ტურინის „იუვენტუსს“ განაჩენს გამოუტანენ, კლუბის ხელმძღვანელობამ „ბებერი ქალბატონის“ ყოფილ ვარსკვლავთან, დიდიე დეშანთან მოლაპარაკება დაიწყო. ეს ინფორმაცია უკვე ორივე მხარემ დაადასტურა. ფრანგს „დელე ალპიზე“ დაბრუნება, დიდი ხანია, სურს და შესაძლოა, „იუვეს“ დირექტორთა საბჭოში, ან სულაც მთავარი მწვრთნელის პოსტზე მოგვევლინოს. მოგეხსენებათ, ფაბიო კაპელოს წასვლის შანსი ძალიან დიდია, ხოლო თუ ტურინელები სერია **A**-დან დააქვეთიეს, დონ ფაბიო უცილობლოდ წავა.

დეშანი „იუვენტუსის“ დირექტორ კარლო სანტალბანოს, სპორტულ დირექტორ ალესიო სეკოსა და გუნდის მფლობელ ანიელების ოჯახის ერთ-ერთ წევრს, ჯონ ელკანს შეხვედრია. ჯერ კონკრეტულად ცნობილი არაფერია და მოლაპარაკებების დეტალებს უფრო დაწვრილებით მალე გავიგებთ.

„იუვენტუსი“ ყოველთვის „იუვენტუსად“ დარჩება, სერია **B**-შიც და სერია **C1**-შიც. ტურინელთა პრობლემები არ მაშინებს. საოცრად ძლიერი სულის კლუბია და სიამოვნებით ვიმუშავებ. ჩემთან შეხვედრის სურვილი კარლო სანტალბანომ გამოთქვა და მერე გადავწყვიტეთ, რომ კარგი იქნებოდა, თუ სხვა ხელმძღვანელებიც შემოგვირთდებოდნენ. საუბარი საკმაოდ საინტერესო გამოვიდა, თუმცა ჯერ არსად არ გვეჩქარება და შეთანხმებისთვისაც არ მიგვიღწევია. თანაც, „იუვენტუსს“ ისეთი მაღალი კლასის მწვრთნელი ჰყავს, როგორიც ფაბიო კაპელოა. ასე რომ, ჯერ რაიმე გადაწყვეტილებაზე საუბარი ნაადრევია“ — განაცხადა დეშანმა.

კოკი კანდელაკი

დალესანდრო მგელს გაექცა

ანდრეს დალესანდრო, „ვოლფსბურგის“ არგენტინელი ფორვარდი, ერთი სეზონით ესპანურ „სარაგოსაში“ იჯარით ითამაშებს. „ბავშვობიდანვე, რაც ფეხბურთის თამაში დავიწყე, სულ ესპანურ გუნდში თამაში მინდოდა. „სარაგოსამ“ ამის შესაძლებლობა მომცა, რისთვისაც დიდად მადლობელი ვარ. ვეცდები, კლუბის მეპატრონეთა და გულშემატკივრების იმედები გავამართლო“ — განაცხადა დალესანდრომ ოფიციალურ პრეზენტაციაზე.

პატაგონიელი მოიერიშე „სარაგოსაში“ 10-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, ხოლო არაგონელთა გუნდის სხვა ოკეანისგაღმელი, გაბრიელ მილიტო, შეიძლება ხავიერ სავიოლას ნაცვლად „ბარსელონაში“ გადავიდეს. „ბარსას“ უფროსობა გაბრიელ მილიტოს შეძენითაა დაინტერესებული და სატრანსფერო ოპერაციაში სავიოლას ჩართვას აპირებს. ხავიერ სავიოლა „ბარსელონამ“ პირველად „მონაკოში“ გაუშვა იჯარით, ხოლო 2005-06-ის სეზონში „ბაჭია“ „სევილიას“ ღირსებას იცავდა.

ლადო ხომერიკი

ბელეტის ფეხები მუზეუმში

ჟულიანო ჰაუს ბელეტის წყვილი ბუცი ამიერიდან „ბარსელონას“ მუზეუმში იქნება. ბელეტი ის კაცია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში „სტად დე ფრანსზე“ ლონდონის „არსენალთან“ გადამწვეტი გოლი გაიტანა და „ბარსელონას“ რიგით მეორე ჩემპიონთა თასი აჩუქა.

ბრაზილიელმა მცველმა თავისი ისტორიული გოლი 17 მაისს, ლონდონელებთან ფინალური ჯახის მიწურულს შეაგდო. მისი ბუცები „ბარსას“ მუზეუმში თვალსაჩინო ადგილას იქნება გამოფენილი რონალდ კუმანის ბუცებთან ერთად. შეგახსენებთ, რომ კატალონიურმა გრანდმა არსებობის 105 წლის მანძილზე ჩემპიონთა თასი ორჯერ მოიგო — პირველად 1992-ში კუმანის და მეორედ 2006-ში ბელეტის გოლებით.

ლადო ხომერიკი

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში 19 ივნისი						
17:00	178	ტოგო-შვეიცარია	7.00	3.80	1.45	2.46	1.20	1.04
20:00	179	ს.არაბეთი-უკრაინა	8.50	3.90	1.37	2.67	1.17	1.01
23:00	180	ესპანეთი-ტუნისი	1.30	4.20	11.00	1.00	1.16	3.03
23:00	181	ესპანეთი-ტუნისი 0:1	1.70	3.70	2.85			
		20 ივნისი						
18:00	182	ეკვადორი-გერმანია	7.50	4.00	1.42	2.60	1.19	1.04
18:00	183	კოსტა რიკა-პოლონეთი	4.50	3.40	1.70	1.93	1.23	1.13
23:00	184	პარაგვაი-ტრინიდადი	1.80	3.60	3.80	1.20	1.22	1.84
23:00	186	შვედეთი-ინგლისი	3.30	2.70	2.40	1.48	1.38	1.27
		შვედეთი სუპერეტა 19 ივნისი						
21:00	144	ბრომაპოიკარნა-ვესბი	1.90	3.20	3.30	1.19	1.20	1.62
21:00	145	იორებრო-ნორჩიოპინგი	1.80	3.30	3.75	1.16	1.21	1.75

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15178	ტოგო-შვეიცარია	3.00	2.80	2.00
15179	ს.არაბეთი-უკრაინა	3.00	2.80	2.00
15180	ესპანეთი-ტუნისი	3.00	2.80	2.00
15182	ეკვადორი-გერმანია	3.00	2.80	2.00
15183	კოსტა რიკა-პოლონეთი	3.00	2.80	2.00
15184	პარაგვაი-ტრინიდადი	3.00	2.80	2.00
15186	შვედეთი-ინგლისი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16178	ტოგო-შვეიცარია	3.50	1.20
16179	ს.არაბეთი-უკრაინა	4.20	1.15
16180	ესპანეთი-ტუნისი	1.07	5.00
16182	ეკვადორი-გერმანია	4.30	1.12
16183	კოსტა რიკა-პოლონეთი	2.70	1.30
16184	პარაგვაი-ტრინიდადი	1.35	2.50
16186	შვედეთი-ინგლისი	2.00	1.60

გოლი:ფყვილი-10ფ კენტი-2. (0:0 ითვლება ფყვილად)

17178	ტოგო-შვეიცარია	1.85	1.95
17179	ს.არაბეთი-უკრაინა	1.85	1.95
17180	ესპანეთი-ტუნისი	1.85	1.95
17182	ეკვადორი-გერმანია	1.85	1.95
17183	კოსტა რიკა-პოლონეთი	1.85	1.95
17184	პარაგვაი-ტრინიდადი	1.85	1.95
17186	შვედეთი-ინგლისი	1.85	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12178	ტოგო-შვეიცარია	1.70	1.90
12179	ს.არაბეთი-უკრაინა	1.70	1.90
12180	ესპანეთი-ტუნისი	1.90	1.70
12182	ეკვადორი-გერმანია	1.80	1.80
12183	კოსტა რიკა-პოლონეთი	1.80	1.80
12184	პარაგვაი-ტრინიდადი	1.70	1.90
12186	შვედეთი-ინგლისი	1.50	2.20

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13178	ტოგო-შვეიცარია	1.90	1.70
13179	ს.არაბეთი-უკრაინა	1.90	1.70
13180	ესპანეთი-ტუნისი	1.90	1.70
13182	ეკვადორი-გერმანია	1.70	1.90
13183	კოსტა რიკა-პოლონეთი	1.70	1.90
13184	პარაგვაი-ტრინიდადი	1.70	1.90
13186	შვედეთი-ინგლისი	1.70	1.80

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14178	ტოგო-შვეიცარია	2.50	1.20
14179	ს.არაბეთი-უკრაინა	2.50	1.15
14180	ესპანეთი-ტუნისი	1.04	2.90
14182	ეკვადორი-გერმანია	2.50	1.20
14183	კოსტა რიკა-პოლონეთი	2.30	1.35
14184	პარაგვაი-ტრინიდადი	1.55	2.30
14186	შვედეთი-ინგლისი	1.90	1.70

ვინ მოაწყდის პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

20178	ტოგო-შვეიცარია	2.00	1.55
20179	ს.არაბეთი-უკრაინა	2.20	1.50
20180	ესპანეთი-ტუნისი	1.40	2.30

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

22178	ტოგო-შვეიცარია	1.70	1.85
22179	ს.არაბეთი-უკრაინა	1.70	1.90
22180	ესპანეთი-ტუნისი	1.80	1.80

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ვინ მოაწყდის პირველ აუტს

24178	ტოგო-შვეიცარია	1.80	1.80
24179	ს.არაბეთი-უკრაინა	1.80	1.80
24180	ესპანეთი-ტუნისი	1.80	1.80

იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

23178	ტოგო-შვეიცარია	3.00	1.30
23179	ს.არაბეთი-უკრაინა	3.00	1.30
23180	ესპანეთი-ტუნისი	3.00	1.30

ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყფ) (ძირ. დრო)

21178	ტოგო-შვეიცარია	1.60	10.00	2.10
21179	ს.არაბეთი-უკრაინა	1.60	10.00	2.10
21180	ესპანეთი-ტუნისი	2.10	10.00	1.55

ვინ დაიწყებს თამაშს

19178	ტოგო-შვეიცარია	1.85	1.85
19179	ს.არაბეთი-უკრაინა	1.85	1.85
19180	ესპანეთი-ტუნისი	1.85	1.85

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10178	ტოგო-შვეიცარია	7.30	2.30	1.80	1.74	1.44	1.00
10179	ს.არაბეთი-უკრაინა	7.00	2.40	1.75	1.78	1.39	1.01
10180	ესპანეთი-ტუნისი	1.55	2.50	8.00	1.00	1.29	1.90
10182	ეკვადორი-გერმანია	6.50	2.30	1.80	1.69	1.40	1.00
10183	კოსტა რიკა-პოლონეთი	4.50	2.00	2.35	1.38	1.54	1.08
10184	პარაგვაი-ტრინიდადი	2.50	2.00	4.50	1.11	1.60	1.38
10186	შვედეთი-ინგლისი	3.90	1.70	2.90	1.18	1.66	1.07

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11178	ტოგო-შვეიცარია	11.00	11.00	20.00	12.00	5.00	3.50	30.00	12.00	2.00
11179	ს.არაბეთი-უკრაინა	12.00	12.00	20.00	12.00	5.30	3.50	30.00	12.00	1.75
11180	ესპანეთი-ტუნისი	1.65	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11182	ეკვადორი-გერმანია	8.00	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.00
11183	კოსტა რიკა-პოლონეთი	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.30
11184	პარაგვაი-ტრინიდადი	2.50	10.00	20.00	3.50	4.50	7.50	20.00	10.00	6.50

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ინტერტოტოს თასი 2006

დვალურ-დავლური

გოლების კარნავალი ბრაზილიელმა დაიწყო

ერევანი. 18 ივნისი. რაზდანი. 18 საათი

კილიკია 1:5 დინამო

0:1 ტერნინი (36), 0:2 დვალი (38), 1:2 ნ. ერზრუმიანი (42), 1:3 დვალი (58), 1:4 ხუციშვილი (72), 1:5 ბობოხიძე (90)

კილიკია: კირაკოსიანი, ალექსანიანი, ბაღდასარიანი, მოსკანიანი, ბახოიანი (მოვსესიანი 64), ს. ერზრუმიანი, ნ. ერზრუმიანი (ჰაკობიანი 76), ვარდანიანი, ზაქარიანი, ნაზარიანი, ხოვშემიანი

მწვრთნელი: აშოტ ბარსეგიანი

დინამო: ლორია, შ. კაშია, ორბელაძე, გრიგალაშვილი (ჩირიკაშვილი 68), გიგაური, გ. მერებაშვილი, ს. კობახიძე, ამბროზიო, ჯ. დვალი (ზ. ჯანაშია 76), ხუციშვილი, ტერნინი (ბობოხიძე 58)

მწვრთნელი: კახა კაჭარავა

გაფრთხილება: ალექსანიანი (16), ტერნინი (20), ხუციშვილი (28), გიგაური (58), კაშია (59)

„ავსტრიული „რიდი" ჯერ ადრეა. „დინამო" მეტოქეს ყოველთვის აფასებს და საპასუხო მატჩში ვეცდებით, რომ ჩვენი უპირატესობა კიდევ უფრო განვამტკიცოთ. გადაწყვეტილი არაფერია, „კილიკიასთან" თბილისური მატჩი წინ არის. ასე რომ, ჯერ ეს ბარიერი უნდა დავძლიოთ, მომავალ მეტოქეზე კი შემდეგ ვიფიქრებთ" — თქვა ერევანში „კილიკიას" განადგურების შემდეგ „დინამოს" თავკაცმა კახა კაჭარავამ, ვინც „დინამოში" თავისი დებიუტი, შეიძლება ითქვას, ძალიან წარმატებულიც კი მოიწყო და, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ეს საერთაშორისო მატჩი იყო.

მაშ ასე: თბილისის „დინამომ" სტუმრად, ერევანში, სომხური „კილიკია" 5:1 გაანადგურა და, ფაქტობრივად, გაინაღდა კიდეც ინტერტოტოს გათამაშების მეორე ეტაპზე ავსტრიული „რიდის" მეტოქეობა. სხვათა შორის, სწორედ ეს „რიდი" თავის დროზე თემურ მახარაძის „მერანმა" სტუმრად დაამარცხა.

...გუშინდელი მატჩი კი ისევე დაიწყო, როგორც დამთავრდა — ჩვენების დიდი უპირატესობით. თამაშის დაწყებიდან წუთიც არ იყო გასული, როცა გიორგი მერებაშვილის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ ჯაბა დვალს შეეძლო თავისიანების დაწინაურება, მაგრამ კირაკოსიანმა იმარჯვა და ქართველ ფორვარდს გატანა არ დაანება. ამ ეპიზოდიდან სამი წუთის შემდეგ მიხეილ ხუციშვილმა დაარტყა სახიფათოდ, იქვე კი ბრაზილიელი ახალწვეულის ტერნინის ჩაწოდებისას იმავ დვალის დარტყმული ძელმა აისხლიტა.

მოკლედ, საწყის ათ წუთში „კილიკია" თავის ნახევარს არ გადაშორებია, თუმცა პირველი გოლი მასპინძლებმა ოდენ ტაიმის ბოლოსკენ მიიღეს: ბრაზილიელმა ტერნინმ კუთხურის ხაზთან ბურთი კარგად მოირგო, ერთ მცველსაც იქვე გაუსწორდა და კირაკოსიანს შორეულ კუთხეში დაბალი დარტყმით გაუტანა.

სომხებმა თამაში ცენტრიდან გააახლეს და შეტევა სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და იქით დაისაჯნენ — თავისი კარისკენ პირით მყოფმა ბაღდასარიანმა ბურთის მშვიდად გაჩერება სცადა, თუმცა დვალმა აართვა და კარიდან გამოსულ მეკარეს ტექნიკურად დაურტყა — კირაკოსიანს რეაქციაც კი არ მოუხდენია — 0:2.

„კილიკიამ" საპასუხო გოლის გატანა მაშინვე შეძლო: ერზრუმიანი ბურთიანად კარგად დატრიალდა თბილისელთა საჯარიმოში და ზუსტადაც დაარტყა.

შესვენების შემდეგ ჩვენების უპირატესობა უფრო თვალსაჩინო გახდა. თბილისელებს უამრავი საგოლე მომენტი ჰქონდათ, თუმცა ხანთავად სცოდავდნენ, ხანაც მასპინძელთა მცველები და განსაკუთრებით, მეკარე ყოჩაღობდნენ. თუმცა ისიც სათქმელია, რომ „დინამოს" სხვაობის გაზრდა დიდხანს არ გაუჭიანურებია, ჯაბა დვალმა თავურით გაიტანა და, ფაქტობრივად, ამ გოლით გაირკვა მოგებულის ვინაობა.

„დინამოს" მწვრთნელმა ანგარიშში ორბურთიანი სხვაობის შემდეგ ცვლილებები გააკეთა, თუმც ჩვენების ტაქტიკა-სტრატეგია ამით არ შეცვლილა.

მალევე სანდრო კობახიძემ მარცხენა ფლანგიდან შეუტია მეტოქეს, საჯარიმოში ჩააწოდა, რასაც დვალმა ზუსტი პასი მიაყოლა და მიხეილ ხუციშვილმაც ზუსტადვე დაარტყა. „კილიკიას" იმედები აქვე დასამარდა.

თბილისელებმა ესეც არ იკმარეს და შეცვლაზე შესულმა მიხეილ ბობოხიძემ მატჩის ბოლო წუთზე მეხუთეც გაიტანა — 1:5.

„ჯერჯერობით გუნდი მოსამზადებელ ეტაპზეა. აშკარაა, რომ ფეხბურთელები შეუთამაშებელნი არიან. დღევანდელი გამარჯვება, რა თქმა უნდა, მიხარია, მაგრამ სამუშაო ჯერ ბევრია. იმედი მაქვს, „კილიკიასთან" საპასუხო მატჩში „დინამო" უკეთ ითამაშებს — გვითხრა „დინამოს" თავკაცმა კახა კაჭარავამ და განაგრძო — საპასუხო მატჩისას სულაც არ გამოვრიცხავ, რომ გუნდის შემადგენლობაში ბევრი ცვლილება იყოს, ყველაფერი დამოკიდებულია ფეხბურთელთა მზადყოფნაზე. ვინც უკეთეს ფორმაში იქნება, „კილიკიასთან" ის ითამაშებს."

ჩვენ კი შეგახსენებთ და კარგი იქნება, ამას „დინამოც" თუ გაითვალისწინებს. მართალია, უეფას თასის შეხვედრა იყო, მაგრამ მაინც: შარშან ამ დროს თბილისის „ლოკომოტივმა" სომხური „ბანანცი" ერევანში 3:2 დაამარცხა, თბილისში კი 0:2 წააგო და მომდევნო ეტაპიც სომხებს დაუთმო.

ძოგა ინასარიძე

ბაჯრი ჯღიბლაძის ფოტო

სომხებმა ორგოლა ჯაბა დვალი ვერ შეაჩერეს

ბაჯრი ჯღიბლაძის ფოტო

გადავა გიორგი სეთურიძე (შუაში) „სიონში"?

სიონი სეთურიძეს და პიონერთა ბანაკს უმიზნებს

ბოლნისელები ზანგებს პარიზიდან დღეს-ხვალ ელიან

კონფიდენციალური და სანდო წყაროდან შევიტყვეთ, რომ საქართველოს ჩემპიონ ბოლნისის „სიონს" გიორგი სეთურიძის გადაბირება სურს.

სეთურიძემ აწ დასრულებული სეზონის პირველი წრე თბილისის „ლოკომოტივში" ითამაშა, მეორე კი „ბათუმში". სეთურიძით „ბათუმამდე" თბილისის „დინამო" იყო დაინტერესებული და, როგორც კულუარებში ამბობენ, „დინამოს" 20 000 დოლარის გადახდა ეძვირა და „ლოკომოტივმა" ის „ბათუმში" გაანათხოვრა.

სეთურიძემ „ბათუმში" გადასვლის მერე საქართველოს ნაკრებთა გერმანელი მწვრთნელების ყურადღება მიიქცია და ახალგაზრდული ნაკრების წევრი გახდა. თქმა არ უნდა, ამ მარჯვენა მცველის ტრანსფერი ახლა იმაზე ძვირი დაჯდება, ვიდრე 2005-06 წლების სეზონის შუაში.

რაც შეეხება ოფიციალურ ცნობებს: ბოლნისელები დღეს ელიან გია გურულის მიერ საფრანგეთიდან გამოგზავნილ ორ კამერუნელ ფეხბურთელს — თავდამსხმელ ევოკე მამეჯი გასტონ ბერტონის და მცველი ბაიემი მაენბლე ერიკარსენს, ხოლო ხვალ თბილისში პარიზიდან კიდევ ორი კამერუნელი უნდა ჩამოვიდეს — მცველი ბაიმო ფრიდოლინი და ფორვარდი ჩასენ ერიკ რომეო.

გურული კამერუნელების „სიონისთვის" გამოგზავნას კარგა ხნის წინ ეშურებოდა და ამას ალბათ ახლა დაადგება საშველი.

თუ დღეს-ხვალ კამერუნელები თბილისში ჩამოვლენ, „სიონმა" ჯერ მათ უკრაინულ ვიზებზე უნდა იზრუნოს და მერე გაამგზავროს ყირიმში „სიონის" თავკაც კახა ცხადაძესთან გამოსაცდელად.

„სიონი" ალუშტის ოლიმპიურ ბაზაზე ემზადება მომავალი სეზონისთვის და შესაძლოა, უკრაინული შეკრება ორად გაჰყოს და ყირიმშივე ცნობილ კურორტ არტეკში გადაინაცვლოს. ვისაც საბჭოთა დროებაში არ უცხოვრია, იმათთვის ვიტყვით, რომ არტეკი საბჭოთა კავშირის რჩეული პიონერთა ბანაკი იყო, კომფორტული დასასვენებელი კომპლექსი, სადაც სოცბანაკის სხვა ქვეყნებიდანაც ჩადიოდნენ მოზარდები.

„სიონი" ყირიმზე რამდენიმე ტესტ-მატჩის გამართვას აპირებს და მისი ერთი მეტოქე უკვე ცნობილია — უკრაინული უმაღლესი ლიგის „ხარკოვი", თუმც შეხვედრის თარიღი ჯერ დაუდგენელია.

„სიონი" საქართველოში 1 ივლისს დაბრუნდება.

დავით თავართქილაძე

ინტერტოტოს თასი 2006

I ეტაპი. პირველი მატჩები

17 ივნისი.

არაზი (აზერბაიჯანი) 1:0 **ტირასპოლი** (მოლდოვა)
შახტიორი (ყაზახეთი) 1:5 **მტზ-რიპო** (ბელარუსი)
ტამპერე (ფინეთი) 5:0 **კარმარტენი** (უელსი)
აშნა (კვიპროსი) 4:2 **პარტიზანი** (ალბანეთი)
ნარვა (ესტონეთი) 1:6 **კალმარი** (შვედეთი)
კეფლავიკი (ისლანდია) 4:1 **დუნგანონი** (ჩრდ. ირლანდია)
ზრინსკი (ბოსნია) 3:0 **მარსაქსლოკი** (მალტა)

18 ივნისი

სანტა ჯულია (ანდორა) 0:3 **მარიბორი** (სლოვენია)
ნიტრა (სლოვაკეთი) 6:2 **გრევენმახერი** (ლუქსემბურგი)
დინაბურგი (ლატვია) 1:1 **ტორსჰავნი** (ფარერები)
ვეტრა (ლიტვა) 0:1 **შელბურნი** (ირლანდია)
პობედა (მაკედონია) 2:2 **ფარული** (რუმინეთი)



ზურაბ ჯოლუხიძე და ბესიკ ბერიძე — ფოტოები

ოლიმპი რუსთავში დასახლდება

აკობია დასაქმებულია, გაბელია გაბრაზებული

„თბილისმა“ სახელი შეიცვალა, „ოლიმპად“ მოინათლა და მომავალ ჩემპიონატში რუსთავში ითამაშებს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რუსთავის „ოლიმპი“ საკმაოდ სერიოზულ გუნდად ყალიბდება — მისი ბირთვი „ბათუმის“ და „თბილისის“ საუკეთესო ფეხბურთელებმა უნდა შეადგინონ. კლუბის დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა გუშინ სხვა არანაკლებ საინტერესო სიახლეებიც გაგვიმხილა...

— მომავალ სპონსორებთან შეთანხმებას მივაღწიეთ. ინგლისელი ბინესმენის გარდა, „ოლიმპს“ მეტალურგიული ქარხანაც დააფინანსებს. ფაქტობრივად, რუსთავული ფეხბურთის აღორძინებაზეა ლაპარაკი. რუსთავში საფეხბურთო აკადემია „ოლიმპის“ დარი აკადემია გაიხსნება და მომავალში გუნდი აქედანაც მიიღებს შევსებას.

— ახალი გუნდის მთავარი მწვრთნელის ვინაობა გაირკვა?

— მთავარი მწვრთნელი ნოდარ აკობია იქნება, რომლის პროფესიონალიზმისაც გვჯერა. ჩვენი მხრიდან გუნდს მაქსიმალური ხელშეწყობა ექნება და მომავალ ჩემპიონატში „ოლიმპი“ სერიოზული მიზნებისთვის იბრძოლებს.

— საშინაო შეხვედრებს სად გამართავთ?

— გუნდი თბილისში ივარჯიშებს, თამაშით კი რუსთავში ითამაშებს.

ბუნებრივია, „ოლიმპის“ ახალდანიშნულ მთავარ მწვრთნელ ნოდარ აკობიასაც დავუკავშირდით...

— კლუბთან კონტრაქტი არ გამიფორმებია და არც თანამშრომლობის ვადაზე შევთანხმებულვართ, თუმცა ეს დროის ამბავია.

— თანაშემწეები თუ შეარჩიეთ?

— გელა გომელაური და ლევან გვანცელაძე დამეხმარებიან, მეკარეების მწვრთნელად კი გიორგი უგრელიძე იმუშავებს.

— ფეხბურთელთა კონტიგენტი უკვე გარკვეულია?

— ძირითადი ბირთვი „ბათუმიდან“ წამოსული ფეხბურთელებისგან შედგება. მათი დიდი ნაწილი ყოფილი ლოკომოტიველია, ერთად გვიმუშავია და ეს საქმეს, რა თქმა უნდა, გამიადვილებს. ამას გარდა, „თბილისის“ ფეხბურთელთა ნაწილსაც დავიმატებთ.

— გუნდს როდის შეკრებთ?

— ხვალ დილის ათ საათზე იპოდრომზე პირველი ვარჯიში გვაქვს დაგეგმილი.

ჩვენთან ინტერვიუში „ბათუმის“ ექსპრეზიდენტი ზურაბ ჯაფარიძე აცხადებდა, რომ „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ოთარ გაბელიას კანდიდატურაც განიხილებოდა. რატომ ვერ მოხერხდა შეთანხმება და ნიშნავს თუ არა ეს, რომ გაბელია „ბათუმში“ რჩება?

— არ ვიცი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები „ბათუმში“. თუ ფეხბურთელებს ნორმალურ პირობებს შეუქმნიან და სერიოზული მიზნებისთვის მებრძოლი გუნდის შენახვას შეძლებენ, შეიძლება დავრჩე, თუ არა და...

— ზურაბ ჯაფარიძე ამბობდა, რომ „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი თქვენც იყავით. რატომ ვერ შეთანხმდით?

— ცოტა გულნატკენი ვარ, მაგრამ მწვრთნელის ბედი ყოველთვის ასეთი იყო. მეგონა, ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდებოდა, მაგრამ სხვა არჩევანი გააკეთეს და ღმერთმა ხელი მოუმართოთ. ამ გუნდსაც და ზურაბ ჯაფარიძესაც მხოლოდ წარმატებებს ვუსურვებ. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ რაღაც განსაკუთრებული პირობები წამოვაყენე და ამიტომ ვერ შევთანხმდით. მე ჩემი პრინციპები მაქვს, ყველა გუნდში სუფთად ვმუშაობდი და ეტყობა, ასე მომუშავე პროფესიონალები არ სჭირდებათ.

— შარშან აზერბაიჯანული კლუბებიდან გქონდათ შემოთავაზება. მათი ინტერესი ძალაშია?

— არა, აზერბაიჯანში მუშაობას გამოვრიცხავ. ერთი პერიოდი მართლაც იყო ინტერესი და საკმაოდ კარგი პირობებიც შემომთავაზეს, მაგრამ იქაც სიბინძურე დავინახე და უარი ვუთხარი.

გიორგი ნოზაძე

ჩიხურა იცლება და ივსება

25 არ გვეყოფა

როგორც ჩანს, საჩხერის „ჩიხურა“ ახალი „ბორჯომი“ იქნება — ზემოიმერლებმა კურორტელთა მეექვსე ფეხბურთელი გადაიბირეს. ზურაბ მამალაძეს, მიხეილ მესხს, ლევან სანიკიძეს, გიორგი მემარნიშვილსა და სანდრო ბურნაძეს მცველი ლევან მერებაშვილიც დაემატათ.

გუშინწინ „ჩიხურამ“ ჭიათურაში ამხანაგური მატჩი გამართა ქუთაისის „ტორპედოსთან“ და 2:0 მოიგო. გოლები გიორგი მგელაძემ და დავით გოდერძიშვილმა გაიტანეს. აქამდე ხვიჩა ქასრაშვილის გუნდში 40-42 ფეხბურთელი ვარჯიშობდა, თუმცა ახლა 25 მოთამაშეღა დარჩა, დანარჩენები კი საჩხერედან აიბარგნენ.

„ჩიხურა“ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელთან აწარმოებს მოლაპარაკებას და, სავარაუდოდ, უახლოეს ორ კვირაში ახალ შენაძენებს გაახერხებს. სხვათა შორის, ლაპარაკია კიდევ ერთი ყოფილი ბორჯომელის, მცველ დავით ბაქრაძის დამატებაზე. ხვიჩა ქასრაშვილის გუნდი ორი კვირა კვლავ ჭიათურაში გააგრძელებს მზადებას, მერე კი გრიგოლეთში წავა შეკრებაზე.

ხვიჩა ქასრაშვილი

ილია ნანოგაშვილი

გეწაძის პირველი დონეცკური ავანსი

დემე დაბრუნდა და გაიტანა

გიორგი დემეტრაძემ შესაძლოა, „მეტალურგს“ უკაპიტნოს

გეცოდინებათ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გარემარბი რევაზ გეწაძე დონეცკის „მეტალურგშია“ გასასინჯად და თუ ესპანელ მწვრთნელ ანხელ ალონსოს თავს მოაწონებს, გიორგი დემეტრაძის თანაგუნდელი გახდება. „მეტალურგმა“ დონეცკში დაიწყო შეკრება, ძირითადი გუნდი დუბლებს ეთამაშა და 1:0 მოუგო — ცხადია, დემეტრაძე ძირითადში იყო, გეწაძე კი დუბლებში.

ანგარიში სწორედ „დემემ“ გახსნა: იგი მეორე ტაიმში შევიდა შეცვლაზე და სამ წუთში პერუელი ანდრეს მენდოსას პასი გოლად აქცია. მეორე ბურთი კი ლეგენდარული იოჰან კრუიფის ვაჟმა, ხორდიმ შეაგდო.

დემეტრაძეზე კი იმასაც გეტყვით, რომ შესაძლოა, იგი „მეტალურგის“ კაპიტნად აირჩიონ.

რაც შეეხება გეწაძეს, დონეცუკური კლუბის ვებგვერდზე მასზე მხოლოდ დადებითი წერია: „გეწაძე გუნდის პოტენციური ახალწვეულია. მან დუბლების შემადგენლობაში ერთი ტაიმი ითამაშა და ძალიან კარგადაც. იგი საკმაოდ მწავედ ირჯებოდა ფლანგზე, კარგად ერთვებოდა შეტევებში და როგორც ტიპიურ კავკასიელ ფეხბურთელს შეეფერება, ინდივიდუალური გარღვევებით გამოირჩევა“.

ილია ნანოგაშვილი

ყაზან-სამარა ევროპაში

ლაშა სალუქვაძე

რუსული პრემიერლიგის იმ გუნდებმა, რომლებშიც ჩვენებურები თამაშობენ, ამ უქმეებზე შუაგულ ევროპაში ტესტ-მატჩები გამართეს.

ყაზანის „რუბინმა“ შვეიცარიაში იქაურ „თუნს“ 5:3 მოუგო. ნუკრი რევიშვილს, მიხეილ აშვეთიას და გიორგი ქინქლაძეს არ უთამაშიათ, ხოლო ლაშა სალუქვაძემ მატჩი სრულად ჩაატარა.

დავით მუჯირის „კრილია სოვეტოვმა“ კი ავსტრიაში იქაურ „მიოდლინგს“ 2:1 სძლია — მუჯირი 65-ე წუთზე შეცვალეს.

„რუბინი“ დღეს დაბრუნდება შინ, ხოლო „კრილია“ ჯერაც ავსტრიაშია. რუსული პრემიერლიგა 12 ივლისს განახლდება.

ლუკა თალაკვაძე

ასათიანის რკინიგზამ პატარა ლაციოს გადაუარა

19 წლის ბექა ჟღენტი მოსკოვის „ტორპედოში“ შარშან გადავიდა და ძირითად გუნდში ერთიორჯერ, ისიც ტესტ-მატჩებში მოასწრო თამაში. ჟღენტი დიდხანს ტრავმირებული იყო, თუმც ჯანმრთელად ყოფნისასაც უმეტესად დუბლშემადგენლობაში თამაშობდა. ასე იყო გუშინაც, როცა „ტორპედოს“ დუბლები „სატურნის“ დუბლებს 0:0 ეთამაშნენ — ჟღენტი გამთამაშებლად ირჯებოდა.

იტალიურ შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ კი ფლორენციაში „ლაციო 2“ 7:0 გაანადგურა. მალხაზ ასათიანმა ერთი ტაიმი ითამაშა, თუმცა გოლი არ გაუტანია.

მალხაზ ასათიანის „ლოკომოტივი“ იტალიაში ემზადება

ილია ნანოგაშვილი

თბილისის შვიდკაცა. 17–18 ივნისი

მეოთხე: პირველი ვერარ

გაურკვეველი საქართველო მამლებმა გამოარკვიეს

თბილისის შვიდკაცა მეოთხე წელია, რაც იმართება და წლეულს პირველად იყო, რომ საქართველომ ვერ მოიგო. ოთხი ტურნირიდან ერთი, შარშანდელი ეტაპი ბათუმში გაიმართა, და იქ ჩვენებმა სულ ბოლოსდა აჯობეს რუსეთს.

გუშინ ფინალში საქართველო სარაგბო გრანდს საფრანგეთს კი ეთამაშა, მაგრამ ფრანგები შვიდკაცაში ვერ „მამლობენ" და გუნდი რასაც ჰქვია, არც თბილისში ჩამოუყვანია. მატჩის ოქმში მორაგბეების გასწავრივ მათი ბობოლა კლუბები კი ეწერა, მაგრამ ესენი იყვნენ დიდი გუნდების ფარმ-კლუბის ახალგაზრდა, მესამეხარისხოვანი წევრები.

სხვა დროს საქართველოს უფრო დიდი გუნდებისთვისაც მოუგია, ოღონდ მაშინ ყოველი ეტაპის წინ ნაკრებს მწვრთნელს არ უცვლიდნენ, ან მენეჯერს არ აბარებდნენ. ჩვენმა რაგბის კავშირმა უნდა გადაწყვიტოს, უნდა თუ არა შვიდკაცა ნაკრები. თუ უნდა, მაშინ ამ გუნდს პირობებიც უნდა ჰქონდეს და ორ კვირაში ერთხელ მწვრთნელი არ უნდა ეცვლებოდეს.

ეგებ ფებხურთში მსოფლიოს ჩემპიონატის ბრალია „ლოკომოტივზე" ამ უქმეებზე გვარიანი სიხალვათე რომ იყო. ფინალურ მატჩს დიდი-დიდი ასიოდე მოსეირე დაესწრო და აქედან ნახევარი მორაგბეები იყვნენ. ასე განსაჯეთ, ტრიბუნაზე მჯდომი ათიოდე ფრანგის სიმღერამ და ყიჟინამ გადაფარა ქართველების „ქომაგობა". ტრიბუნაზე იყვნენ ჩვენი ეროვნული ნაკრების მორაგბეები, რომლებმაც გვითხრეს, რომ ოდენ გაზეთებიდან შეიტყვეს თბილისში ევროპული შვიდკაცას ეტაპი თუ იმართებოდა.

ერთიც, ფინალში გასვლით საქართველომ ევროპული შვიდკაცას მოსკოვურ 12-გუნდა ფინალში რაგბობის უფლება მოიპოვა.

ბაჩო სვანიძე

თბილისური შვიდკაცას მომგები საფრანგეთის ნაკრები

საქართველო თბილისის შვიდკაცაზე

ჯგუფური ეტაპი

საქართველო 19:0 უკრაინა

საქართველო 40:0 აზერბაიჯანი

საქართველო 5:0 რუსეთი

ნახევარფინალი

საქართველო 26:0 გერმანია

საფრანგეთი 14:7 რუსეთი

მე-7 ადგილისთვის

ისრაელი 17:12 აზერბაიჯანი

მე-5 ადგილისთვის

უკრაინა 49:0 ლატვია

მე-3 ადგილისთვის

რუსეთი 19:7 გერმანია

ფინალი

საქართველო 19:26 საფრანგეთი

ხელდახელ და უხვრად

საქართველო 8:47 ირლანდია

საქართველო: გურგენიძე, ჩიხლაძე, სულამანიძე (გეგენავა), კაჭარავა (კაპ), მჭედლიშვილი, ყიასაშვილი, მეავანაძე (ბეგაძე); შეყლაშვილი (ქუბრიაშვილი), სოსელია (ჭყონია), ღლენტი, გაბუნია (არჩუაშვილი), აზალაძე, თავართქილაძე, მინაშვილი, ბასილაია (ს. მაისურაძე)

კლერმონში მიმდინარე 21-წლამდელთა მსოფლიოს თასზე დებიუტანტმა საქართველომ თავის მესამე მატჩში ირლანდიისგან 7 ლელო გაუშვა, ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა და ახლა მეცხრე ადგილისთვისღა იბრძოლებს. რაც არ უნდა უცნაური იყოს, თავიდანვე ანგარიშში გვარიანად ჩამორჩენილმა ქართველებმა მაყურებლისთვის სასეიროდ კარში დასარტყამი ჯარიმები გაათამაშეს, ხელდახელ შეუტიეს, მაგრამ აქედან ხეირი ვერ ნახეს. პირველი ტაიმის ბოლო 20 წუთი ირლანდია კაცნაკლული გვეთამაშებოდა. მეორე ტაიმში კი კელტებმა კვლავ კაცნაკლულებმა ირაგბეს. თუმც, ჩვენებმა პირუკუ აქეთ გაუშვეს ორი ლელო. ამ გამარჯვებით ირლანდიამ მეორე ოთხეულში შეაღწია და მეხუთე ადგილისთვის იბრძოლებს. საქართველოს შემდეგი მეტოქე კი შოტლანდიაა. საქართველო „მამაცი გულების "მომრევი არ ჩანს, მაგრამ აქაც რომ წააგოს, ბოლო მატჩში იტალიას ომი უნდა გაუმართოს და ეგებ ბოლოსწინა, მეთერთმეტე ადგილი მაინც დაიკავოს.

მსოფლიოს თასისთვის ბრძოლას კი სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და ტურნირის მასპინძელი საფრანგეთი განაგრძობენ.

სინქრონიკა გერმანიიდან: ვერცხლი

თბილისელი წყალში მხტომელები ჭოლა ჭანტურია და გიორგი გევორქიანი 16-16 წლისანი არიან, მაგრამ საერთაშორისო ტურნირებზე ხშირად ორი-სამი წლით უფროსებს ეჯიბრებიან და მედლებსაც ეუფლებიან. გამონაკლისი არც გერმანიის ქალაქ ვალტკრაიბურგში გუშინ დამთავრებული ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი იყო, რომელშიც 19 წლამდე ასაკის თერთმეტი ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ.

როგორც ვიუწყებოდით, ტურნირის პირველ დღეს ჭანტურიამ მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, შაბათს კი იგი გევორქიანთან ერთად 3-მეტრიან ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომაში გამოვიდა. აქ ქართულ „დუეტს" მხოლოდ ჯინ ჩონ გლიჰაო ტიან ლონგის ჩინურმა წყვილმა აჯობა.

აღსანიშნავია, რომ შარშანდელ ანალოგიურ ტურნირზე ჭანტურია-გევორქიანის წყვილი იმავე სინქრონულ ხტომებში მესამე იყო. ასე რომ, ახლანდელი ვერცხლი და ერთიც ინდივიდუალური ბრინჯაო ორი ნაბიჯით წინგადადგმული საქმეა.

გევორქიანმა და შოთა კორახაშვილმა ძალა სცადეს ინდივიდუალური კოშკიდან და სამმეტრიანი ტრამპლინიდანაც. კორახაშვილის გამოსვლისას ღია აუზში გააჟდრდა. ეტყობა, მას წვიმამ სხვებზე მეტად შეუშალა ხელი თუ სხვა რამ მიზეზი იყო, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ამჯერად თავის შესაძლებლობებზე სუსტად გამოვიდა და მეშვიდე ადგილი დაიკავა, გევორქიანი კი მეექვსე იყო.

ავთანდილ ბაყვიშელი

ერთი კვირაა, რაც ახალგაზრდული ნაკრები დილმის ბაზაზე ვარჯიშობს, თუმც ჯერჯერობით ლეგიონერების გარეშე, რომლებიც უცხოეთიდან ნელ-ნელა ბრუნდებიან. გუშინ კი ნაკრებს ყველაზე ახალგაზრდა წევრი შეუერთდა — გიორგი გაფრინდაშვილი. იგი 1988 წელსაა დაბადებული, თუმც გამორჩეული მონაცემების გამო 86-იანების ნაკრებში გამოიძახეს, სადაც მან ლაშა გამყრელიძისა და გიორგი ცინცაძის კონკურენცია უნდა დაძლიოს, რათა ძირითადში მოხვდეს. გაფრინდაშვილს ამის გაკეთება, ალბათ, გაუჭირდება, რადგან გასული სეზონი ფაქტობრივად გაუცდა — სლოვენიურმა „ოლიმპიამ" კონტრაქტი კი გაუფორმა, მაგრამ მიზეზთა გამო მას ლიუბლიანის დატოვება მოუხდათ.

ახალგაზრდულის ახალგაზრდა

გაფრინდაშვილის ბაირამი დამთავრდა

— სეზონის დასაწყისში „ოლიმპიაში" დიდი იმედით წავედი, მაგრამ მწვრთნელი გამოიცვალა და მეც ამ გუნდის დატოვება მომიხდა — გვითხრა გაფრინდაშვილმა — მართალი გითხრათ, სლოვენიაში ბონო გორდოვიჩის გამო წავედი. ეს სპეციალისტი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა ინდივიდუალურობის დახვეწის საქმეში. ჰოდა, როცა მის ნაცვლად „ოლიმპიაში" ზმაგო საგადინი მოვიდა, ჩემი საქმეებიც აირია. ჯერ ერთი, ახალი მწვრთნელის გეგმებში მე არ ვჯდებოდი, თანაც გორდოვიჩი რომ წავიდა, მეც აღარ დამიდგა იქ გული.

— არადა, ლიუბლიანიდან წამოსვლის შემდეგ ფეხი ვერსად მოიკიდე...

— სეზონი დაწყებული იყო და თამაში ვეღარ მოვახერხე, თორემ არაერთი მსურველი გამომიჩნდა, ვარჯიშებიც არ მომკლებია. 2 თვე ვიყავი ზაგრების „ციბონაში", სადაც მოწონება დავიმსახურე და ხორვატიელები მზად არიან, გუნდში ამიყვანონ. ჩემმა სააგენტომ უკვე შეადგინა კონტრაქტის ვარიანტი და მას მალე „ციბონას" წარმომადგენლებიც ნახავენ. ერთი სიტყვით, საკონტრაქტო პირობებზე შეთანხმდებიან და ალბათ ორ კვირაში ამ კლუბის წევრი გავხდები. არადა, კიდევ არის რამდენიმე კლუბის ვარიანტი და იმედი მაქვს, რომელიმეში მოვეწყობი.

— თითქმის მთელი სეზონი უგუნდოდ ხარ და ვის ხარჯზე ცხოვრობდი ევროპაში?

— მე კონტრაქტი მაქვს გაფორმებული სააგენტო „ენტერსპორტთან", რომელიც პასუხისმგებელია, კლუბში მომაწყოს. გასინჯვებზეც, ცხადია, ამ სააგენტოს ხარჯზე დავდიოდი და ბინასა და კვებასაც ის კისრულობდა. ის კი არა, „ენტერსპორტმა" ძალიან ძლიერი პირადი მწვრთნელი დამიქირავა, რათა ფორმაში ვყოფილიყავი. დენის ბაირამოვიჩს მთელ ბალკანეთში იცნობენ. ის იყო „ოლიმპიას" მეორე და ხორვატიის ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი. მისი მეთვალყურეობით ვვარჯიობდი, სანამ თბილისში წამოვიდოდი.

— ახალგაზრდული ნაკრების ძირითადში ადგილის მოსაპოვებლად მზად ხარ?

— დღეს პირველად ვივარჯიშე ნაკრებში და ძნელია იმის თქმა, ძირითად შემადგენლობაში მოვხვდები, თუ არა. ლაშა გამყრელიძისა და გიორგი ცინცაძის სახით სერიოზული კონკურენტები მყავს. თანაც მე 2 წლით უმცროსი ვარ და გამოცდილება მაკლია. ვნახოთ, რა გამოვა.

ირაკლი პერტაია

დიდი მწვანე ოთხი

როჯერ ფედერერი თვით ბორგს გაუტოლდა

AFP ჰალედან

ერთი მოგებაც და, როჯერ ფედერერი ბიორნ ბორგის რეკორდს დაამხობს

კაცები
ჰალე. გერმანია
ბალახი
საპრიზო 800 000 $

ნახევარფინალი
როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ტომი ჰაასი (6, გერმანია) — 6:4 3:6 6:2 ტომაშ ბერდიხი (5, ჩეხეთი) — კრისტოფ ვლიგენი (ბელგია) 6:2 6:3

ფინალი
ფედერერი — ბერდიხი 6:0 6:7 6:2

კაცები
„სტელა არტუა" (ქუინს კლაბი)
ინგლისი. ბალახი
საპრიზო 800 000 $

ნახევარფინალი
ლეიტონ ჰიუიტი (8, ავსტრალია) — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) 6:3 3:6 6:2, ჯეიმს ბლეიკი (5, აშშ) — ენდი როდიკი (3, აშშ) 7:5 6:4

ფინალი
ჰიუიტი — ბლეიკი 6:4 6:4

ქალები
ბირმინგემი. ინგლისი. ბალახი
საპრიზო 200 000 $

ნახევარფინალი
ჯამეა ჯექსონი (აშშ) — მარია შარაპოვა (1, რუსეთი) 6:4 6:4; ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) — მეილენ ტუ (აშშ) 5:7 6:4 6:3

ფინალი
ზვონარიოვა — ჯექსონი 7:6 7:6

ეს წელი რეკორდებისა გამოდგა. მოგეხსენებათ, სამიოდ კვირის წინ რაფაელ ნადალმა გრუნტზე წაუგებელი მატჩების რეკორდი გააუმჯობესა — ესპანელმა ახალ ზღვრად 60 მოგება დააწესა, და, ალბათ, გაზრდის კიდეც, რადგან პირინეელის თიხნარზე დამმარცხებელი ჯერ არ ჩანს.

და აი, გუშინ კიდევ ერთი რეკორდი ვიხილეთ, რომელიც ჯერჯერობით განმეორდა, მაგრამ უეჭველად დაემხობა. რეკორდსმენობა ამჯერად როჯერ ფედერერმა იკისრა და ლეგენდარულ ბიორნ ბორგს გაუტოლდა, რადგან უკვე 41-ედ დატოვა ბალახის კორტი გამარჯვებულის სტატუსით.

ორი წელია, რაც ნადალს თიხნარზე არ წაუგია, „მხიარული როჯერი" კი აგერ უკვე მეოთხე საბალახო სეზონია, ვერავის დაუმარცხებია. დიად ალპელს უიმბლდონზე ერთი გამარჯვებაც სჭირდება და ახალი რეკორდსმენიც შეიქნება.

მაგრამ ერთ ფაქტია — ფედერერს ჰალეში ამდენი პრობლემა არასდროს შექმნია. პირველი წრის შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, შვეიცარიელს სულ სამი სეტის თამაში უწევდა, რამდენჯერმე კი, საერთოდ, ბეწვის ხიდზე გაიარა. მაგალითად, ოლივიე როხუსთან როჯერს ოთხი მატჩ-პოინტის განეიტრალება მოუხდა, თუმც ამასაც წარმატებით გაართვა თავი.

ფინალში კი შვეიცარიელმა თავისით შეიქმნა პრობლემები და მეორე სეტი ლამის აჩუქა ტომაშ ბერდიხს. თუმც მესამე სეტში ფედერერის უპირატესობა კვლავაც თვალში საცემი იყო და ჰალეური პოკერიც შედგა.

ძალიან საინტერესო ჩოგბურთი გაჩაღდა წლეულს ქუინსში, სადაც ნახევარფინალებიც უაღრესად დაძაბული და ლამაზად საცქერი გამოდგა. კარგ ფორმაში ხვდება დამდეგ უიმბლდონს ლეიტონ ჰიუიტი და, წესით და რიგით, ფედერერის მთავარი მეტოქეც ის უნდა იყოს. ტიმ ჰენმანთან ნახევარფინალში ოზმა სოლიდური და უმაღლესი დონის თამაში აჩვენა.

ჯეიმს ბლეიკი კი წლეულს შესაშური სტაბილურობით გამოირჩევა და უკვე ყველა საფარსა თუ ნებისმიერ ტურნირზე უეჭველად ფავორიტთა მარაქაში ერევა. აქამდე ბალახზე ბლეიკს თავი არაფრით გამოუჩენია, მაგრამ მან ამ საფარის აღიარებულ სპეციალის ენდი როდიკს დამაჯერებლადაც მოუგო და ფინალშიც ღირსეულად გავიდა.

კახა ლომაშვილი

AFP ლონდონიდან

ლეიტონ ჰიუიტმა წლეულს პირველი ტურნირი და 2002 წლის შემდეგ პირველი საბალახო ტიტული მოიგო

კორტებზე კარი ჭრიალებდა

ყელის ჩამაჭრიანება კოკა-კოლამ იკისრა

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციამ და მისმა გენერალურმა სპონსორმა „კოკა-კოლამ" შაბათს ღია კარის დღე მოაწყვეს. მთელი დღის განმავლობაში საქართველოს ყველა საჩოგბურთო კორტზე ნებისმიერ მსურველს უფასოდ შეეძლო თამაში.

მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიაშიც ბევრი მოყვარული ჩოგბურთელი შეიკრიბა, თუმც ვიდრე კორტზე შევიდოდნენ, პატარა პროფესიონალების თამაშებს უცქირეს. კვირის დასაწყისში გახურებული 14 და 16 წლამდე გოგონათა და ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატის ფინალები ღია კარის დღეს სპეციალურად დაამთხვიეს და ვინც ნახა, ნამდვილად არ უნანია. 14-წლამდელებში ჩემპიონები მარიამ სამქანაშვილი და დავით ხუციშვილი გახდნენ, უფროსებში — ეკა გორგოძე და ზვიად ზაალიშვილი.

მოხალისეთა შორის ორგანიზებული ტურნირი არ გამართულა. მოყვარული ჩოგბურთელები, რომელთა შორისაც ცნობილი სახეებიც იყვნენ, თავად ირჩევდნენ მეტოქეებს და ერთობოდნენ, მაყურებლები კი უფასო „კოკა-კოლით" გრილდებოდნენ. ეს ღია კარის დღე ჩოგბურთელებისთვის მეორე იყო. პირველი შარშან ივნისში მოეწყო. ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლეილა მესხის თქმით, ტრადიცია მომავალშიც გაგრძელდება.

ოთარ მაღლაკელიძე

პლეი ოფი 2006. ფინალი

AFP ედმონტონიდან

უმად შეჭამეთ ამერიკა!

18 ივნისი

კაროლინა 3:3 ედმონტონი

ედმონტონი 4:0 კაროლინა

0:0 2:0 2:0

1:0 პიზანი (22), 2:0 ტორესი (30), 3:0 რ. სმიტი (44), 4:0 ჰორკოფი (54)

„კაროლინას" თასის მოპოვების ასპროცენტიანი შანსი ჰქონდა. სერიაში 3:1 დაწინაურების შემდეგ ოთხშაბათს, „ქარიშხლები" მატჩს შინ მართავდნენ და ოვერტაიმში მოგების ჩინებული შესაძლებლობაც მიეცათ, მაგრამ იმის მაგივრად, რომ რიცხვმრავლობა, ჩვეულებისამებრ, მშვიდად გამოეყენებინათ, მათ გოლი საკუთარ კარში მიიღეს და როგორც მომდევნო, შაბათის თამაშმა ცხადყო, ამ ტრაგიკულმა ეპიზოდმა გუნდის თავდაჯერებულობა და ფსიქოლოგიური წონასწორობა საგრძნობლად შეარყია. ამიტომაც ახლა უკვე „ედმონტონი" გამოიყურება ფავორიტად ფინალურ სერიაში, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო მატჩი ისევ როლიში იმართება. ასეთი თამამი განცხადების საბაბს კი სწორედ მეექვსე მატჩის სიუჟეტი გვაძლევს, როდესაც ყინულზე პრაქტიკულად მხოლოდ ერთი გუნდი („ედმონტონი") ჩანდა, ხოლო მეორე („კაროლინა") დაბერებული და დაღლილი ვეტერანების კრებულს ჰგავდა. „ედმონტონის" და მისი ქომაგების გიჟური განწყობა უკვე მსაჯის პირველ სასტვენამდე გააშკარავდა, როდესაც ერთ-ერთმა ფანმა ყინულზე უმი ხორცის ბარაქიანი ნაჭერი მოისროლა. ამით ფანებმა თავიანთ გუნდს მიანიშნეს, მიდით, უმად შეჭამეთ ეს „ჰარიკეინსიო". დაიწყო თამაში და სტუმართა კართან ნამდვილი ომი გაჩაღდა. მასპინძლები მხოლოდ მაშინ დაწყნარდნენ, როდესაც ორი გოლი გაიტანეს. ჯერ პლეი ოფის კიდევ ერთმა აღმოჩენამ, ფერნანდო პიზანიმ თავისი მე-13 სათასო შაიბა შეაგდო და გათამაშების საუკეთესო მეგოლე შეიქნა, ხოლო შემდეგ რაფი ტორესის ჯერი დადგა. ის მარჯვედ გასცდა ერთ მცველს და სანამ მეორე ხელს შეუშლიდა, მყისიერად დაარტყა — 2:0. ბოლო მესამედის დასაწყისში „ედმონტონის" კაპიტანმა რაიან სმიტმა საბოლოოდ ჩაძირა მეტოქე. რიცხვმრავლობაში (ამ კომპონენტში „ედმონტონმა" პირველად იყოჩაღა ფინალურ სერიაში და სამი შაიბა მიითვალა) სმიტის მეტოქის ზონაში შეჭრა და გასროლა თითქმის ერთი იყო და უორდი უძლური აღმოჩნდა. სტუმრების განადგურება კი შეინ ჰორკოფმა დაასრულა.

ამრიგად, ზედიზედ მეორე სეზონია, თასის ბედი ბოლო, მეშვიდე მატჩში წყდება და კანადასაც ერთი ნაბიჯიღა აშორებს ნანატრ ოცნებასთან. შეგახსენებთ, რომ 13 წელია, კანადურ კლუბებს თასი არ მოუპოვებიათ.

სამველ ლარიბიანი

მსოფლიოს ჩემპიონატი. მეშვიდე ეტაპი

კატალონიის დიდი პრიზი. კატალუნია — 4,727კმ

მოტო გრან პრი — 113,5 კმ

1 ვალენტინო როსი (იტალია, ქემელ იამაჰა) — 41 წთ; 31,2
2 ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა) — ჩამორჩა 4,5
3 კენი რობერტსი (აშშ, რობერტს KR211V) — 9,2

საერთო ჩათვლა

1 ჰეიდენი 119 ქულა; 2 ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი მარლბორო) 99; 3 როსი 90; 4 მარკო მელანდრი (იტალია, ფორტუნა ჰონდა) 89; 4 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) 86

250 სმ³ — 108,7 კმ

1 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, ჰუმანჯესტ ჰონდა) — 41 წთ; 28,2
2 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) — ჩამორჩა 0,1
3 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, ასპარ აპრილია) — 0,4

საერთო ჩათვლა

1 დოვიზიოსო 133 ქულა; 2 ლორენცო 108; 3 იუკი ტაკაჰასი (იაპონია, ჰუმანჯესტ ჰონდა) 89; 4 ჰიროსი აოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) 85; 5 რობერტო ლოკატელი (იტალია, ტოტი აპრილია) 80

125 სმ³ — 104,0 კმ

1 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) — 40 წთ; 56,4
2 ექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ასპარ აპრილია) — ჩამორჩა 0,2
3 სერხიო გადეა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) — 0,4

საერთო ჩათვლა

1 ბატისტა 144 ქულა; 2 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) 88; 3 მატია პასინი (იტალია, ასპარ აპრილია) 87; 4 ფაუბელი 87; 5 გადეა 83

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge